

# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



გლოცვა  
ძარიადობის  
საუფლო  
დღესასწაულის!

შაბათი, 27 აგვისტო. 2016 წ. №159 (8051), გამოცემის 98-ე წელი

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თეთრი.

## აპოკალიფსის მხედრობა - ქვეყნის მოღალატეთა ოცნული



ჰერ ცალ-ცალკე რანი არიან და ერთად  
სომ სულ!..

პირველი ოცნული ერთიანი ნაციონალურ-  
რი მოძრაობის პარლამენტის საარჩევნო სი-  
ისა.

ეს „დამკვერელი“ ოცნულია, ნაღდი, ყვე-  
ლა ვარიანტი გამსვლელი, აქ წარმოდგენი-  
ლია ამ მოძრაობის ნაღები, ნაცების ყველაზე  
დიდი იმედი და ზოგადი სახე.

მაგრამ რაოდენ სიძულვილს, უფრო მეტი  
- რაოდენ ზიზღს იწვევს ეს დამკვერელი  
რაზმი დათითოკაცებული განშლით!

**დავით ბაქრაძე** - ეს ის კაცია, წითელ ხიდ-  
თან გასაქცევად სტარტზე მდგომი „მასებს“  
რომ მოუწოდებდა, შემოჭრილ რუსულ არ-  
მიას დანებითა და ჩანგლებით ებრძოლეთო.

**სანდრა რულოვსი** - სატანის თანამეცხედ-  
რე და თვითონაც სატანა, ჩონგურზე მეგ-  
რულად ჩამომღერებით რომ ცდილობს სა-

მეგრელოს გადაბირებას.

სახე და აზრებგაყინული **ელენე ხოშტარია**,  
რომელმაც ახალ პარლამენტში უნდა იტვირ-  
თოს ეკა ხერხეულიძეობა, ჩიორა თაქთაქიშ-  
ვილობა და ა. შ.

ეკონომიკური ცრუნინასწარმეტყველი **რო-  
მან გოცირიძე**.

სიძულვილის მქადაგებელნი და მთესველნი  
- **ნიკა მელია, ოთო კახიძე, სალომე სამადაშვილი,  
მამუკა ჩიქოვანი, თენგიზ გუნავა, სერგი კაპა-  
ნაძე**...

დაბოლოს მართლაც აპოკალიფსის მხედ-  
რობა: **ირაკლი აბესაძე, სერგო რატიანი, გიორგი  
კანდელაკი, აკაკი ბობოხიძე, გიგა ბოკერია, ირმა  
ნადირაშვილი, თინათინ ბოკუჩავა, გიორგი თევ-  
დორაძე**...

ეს გვარები გვაიძულებენ, მზად ვიყოთ,  
სიფხიზლე არ მოვადუნოთ:

არ არის ჭორი, მათ არ მოიგონონ,

არ არის შხამი, მათ არ დაანთხიონ,  
არ არის სიძულვილი, მათ არ გადმოაფ-  
რქვიონ.

გამარჯვებისთვის ყველა სიგლახზე ნავ-  
ლენ, ყველაფერს იკადრებენ, ამომრჩეველს  
გაუგორდებიან, ინკმუტუნებენ და ფეხებს  
აულოკავენ. თუმცა ელექტორატმა კარგად  
უნყის ვინც არიან, რანიც არიან...

არაკაც ნიკა გვარამიას ჯოჯოხეთის ყუთ-  
ში, „რუსთავი-2“-ში მათი ყოველდღიური  
ყელყელაობა რომ არა, ქვეყანა დამსვიდდე-  
ბოდა, ხალხი გახალისდებოდა, ბოლო წლებ-  
ში გაკეთებულს ფასი დაედებოდა...

არა, ქვეყანას მოუკვდა პატრონი, დასავ-  
ლეთიდან შეგულიანებული ოპოზიციის  
სახელით ეს არამზადები ბოლომდე მტრო-  
ბენ და ანადგურებენ ქართველ ერს!


**მათ პარაზს სწორად 8 ოქტომბერს უნდა  
დაეხვას წერტილი.**

### კვირის სკიზიზმი



„ვეფხისტყაოსნის“  
ნიკოლოზ  
ბარათაშვილი-  
სეული  
ხელნაწერი 7

უმთა  
ნადირაშვილმა  
განწყობის  
თეორია ჩიხიდან  
გამოიყვანა



6

### ნიკალას ახდენილი ოცნება



ქართული სული  
მოსკოვის სენტრში 8

ვაჟის  
სადღებრძელო,  
სისხლის ალაბა  
და მახვუი 4

### ოლიმპიელი ლირსების ორღანებით დაჯილდოვდნენ

საძმართველოს პრეზიდენტმა  
გიორგი მარგველაშვილმა ოლიმ-  
პიელები ღირსების ორდენით და-  
აჯილდოვა. ქვეყნის პირველი პი-  
რის გადაწყვეტილებით, ვლადიმერ  
სინჩეგაშვილი, ლაშა ტალახაძე,  
ვარლამ ლიპარტელიანი, ლაშა შავ-  
დათუაშვილი, შმაგი ბოლქვაძე,  
ირაკლი თურმანიძე და გენო პეტ-  
რიაშვილი „რიო 2016“-ის ზაფხუ-  
ლის ოლიმპიურ თამაშებზე მოპო-  
ვებული გამარჯვებისა და მიღწე-  
ული წარმატებისთვის, ასევე ქარ-  
თული სპორტის საერთაშორისო  
ავტორიტეტის ამაღლების საქმე-  
ში შეტანილი განსაკუთრებული  
წვლილისთვის დაჯილდოვნენ. სა-  
ქართველოს პრეზიდენტმა და პირ-  
ველმა ლედიმ რიოს ოლიმპიადი-  
დან დაბრუნებული ოლიმპიელები  
ავლაბრის სასახლეში მიიღეს.

# ჩინური ინვესტიციები და ქართული უსაქმლოება

უმსხვილესი ჩინური კორპორაციები საქართველოს სამშენებლო სექტორით, ქართული ღვინით და ტურიზმის სფეროში ინვესტირებით დაინტერესდნენ—ამის შესახებ



აღინიშნა შეხვედრაზე, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანი-კაშვილმა „ჰუალინგ ჯგუფის“ პრეზიდენტ მი ენპუასთან და სხვა ჩინური კორპორაციების წარმომადგენლებთან გამართა.

გიორგი კვიციანი-კაშვილმა ჩინელ ბიზნესმენებს საინვესტიციო გარემო გააცნო და აღნიშნა, რომ საქართველო ინვესტორებს სთავაზობს დიდ შესაძლებლობებს— თავისუფალ და ღია ეკონომიკას.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ქართული ღვინის ექსპორტის გაზრდის პერსპექტივებზე და ხაზი გაესვა ბოლო პერიოდში ჩინეთში ქართული ღვინის ზრდის დინამიკას. საუბარი ასევე შეეხო საქართველოში ტურიზმის მართულად არსებულ დადებით ტენდენციას და ვიზიტორთა რიცხვის უპრეცედენტო ზრდის მაჩვენებლებს.

მხარეებმა ისაუბრეს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მნიშვნელობაზე, რაც, მათი თქმით, იძლევა დიდ შესაძლებლობას ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებისთვის.

# რა პრობლემებზე საუბრობენ აჭარაში ჩასული უსსოელი ტურისტები

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა უცხოელ ვიზიტორთა კვლევის მესამე ეტაპის შედეგები გამოაქვეყნა.

კვლევის შედეგად, რომელიც 2016 წლის იანვარ-მარტის პერიოდს ეხება, 1000 უცხოელი ვიზიტორი საქართველოში არსებულ ყველა საბაჟო გამშვებ პუნქტზე, ქვეყნის დატოვებამდე გამოიკითხა.

როგორც კვლევამ აჩვენა, იანვარ-მარტის პერიოდში აჭარას 42,7% ინდივიდუალური მოგზაური, ხოლო 35,2% ჯგუფური მოგზაური სტუმრობს და მათი უმრავლესობა რეგიონში საშუალოდ 4 დამთმობს. კვლევის წინა ორი ეტაპისგან განსხვავებით, რომელიც აგვისტო-სექტემბრისა და ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდს ეხება, გაზრდილია ერთი ტურისტის მიერ რეგიონში 1 დღეში დახარჯული თანხის რაოდენობა, რაც საშუალოდ 451,15 ლარს შეადგენს.

კვლევის წინა ორი ეტაპისგან განსხვავებით მესამე ეტაპზე ასევე შეცვლილია მონაცემები რეგიონში ტურისტების ჩამოსვლის ძირითადი მიზნების შესახებ. ისინი აჭარაში ძირითადად ღირსშესანიშნაობათა, ბუნებისა და ლანდშაფტების დასათვალიერებლად (38,8%), მეგობრების მოსანახულებლად (16,6%) და აზარტული თამაშებისთვის (12,5%) ჩამოდიან. თუმცა მათ მიერ რეგიონში

ყოფნისას განხორციელებულ აქტივობებში აზარტულ თამაშებს მხოლოდ 0,32% უჭირავს, მაშინ როცა ეკოტურიზმით ტურისტების 59%, ღვინისა და გასტრონომიული ტურიზმით 26,80%, ხოლო კულტურული ტურიზმით 14,74% ტურისტია დაკავებული.

უცხოელ ვიზიტორთა კვლევის წინა ეტაპებისგან განსხვავებით აჭარაში იანვარ-მარტის პერიოდში მყოფი ტურისტებისთვის მთავარ პრობლემას უამინდობა (1,36%) და პატრულთან დაკავშირებული პრობლემები (1,13%) წარმოადგენს, თუმცა მცირე პროცენტობით პრობლემებში ფიგურირებს მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, მაღალი ფასები და სიძვირე ტურის ობიექტებში, მომსახურების დონე და უცხო ენის პრობლემა. 2015 წლის აგვისტო-სექტემბრისა და ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდის კვლევისას კი მომსახურების დაბალი დონე, სიძვირე, მოძრაობის ნებსები და ინფრასტრუქტურა ყველაზე მთავარ პრობლემად სახელდებოდა. კვლევის მესამე ეტაპზე, წინა ორი ეტაპის მსგავსად ტურისტების უმრავლესობა (51,7%) ისევ კმაყოფილია რეგიონში დასვენებით და გამოკითხულთა 95%-ს სურვილი აქვს აჭარას განმეორებით ეწვიოს.

კომენტარი

# რომელ სასტუმროებს ეტანებიან ბათუმის სტუმრები?

BOOKING.COM-ზე ბათუმში მდებარე 5-ვარსკვლავიანი სასტუმროებიდან ყველაზე მაღალი შეფასება, ანუ 9,0 ქულა Divan Suites Batumi-ს აქვს.

როგორც ჩანს, Booking.com-ის მომხმარებლებიდან, მაღალი კლასის სასტუმროებიდან, ყველაზე მეტად კმაყოფილი Divan Suites Batumi-ს სტუმრები დარჩნენ და სწორედ ამიტომ მიიღო სასტუმრომ 9,0-ქულიანი შეფასება. აღსანიშნავია, რომ Divan Suites Batumi ამ შეფასებას სტაბილურად ინარჩუნებს, რადგანაც სწორედ ანალოგიური შეფასებით სარგებლობდა სასტუმრო 2015 წლის მონაცემებითაც.

სუთვარ-კვლავიანი სასტუმროების სეგმენტში კარგ პოზიციაზეა და ქულების მიხედვით Divan Suites Batumi-ს შემდეგაა Hilton Batumi, რომელიც Booking.com-ის მომხმარებლებმა 8,8 ქულით შეაფასეს.

Booking.com-ის რეიტინგში, სუთვარ-კვლავიანი სასტუმროებს შორის, მესამე პოზიციაზეა (8,6 ქულით) სასტუმრო Leograd Hotel & Casino Batumi.

Colosseum Marina Hotel-ის შეფასება Booking.com-ზე 8,5 ქულაა, Radisson Blu Hotel Batumi-სა კი — 8,3 ქულა. რაც შეეხება სასტუმრო Sheraton Batumi Hotel-ს, ის

Booking.com-ის მომხმარებლების მიერ 8,1 ქულითაა შეფასებული.

რაც შეეხება ოთხვარსკვლავიანი სასტუმროების სეგმენტს — აქ ლიდერი სასტუმრო Gonio Inn-ია, რომელმაც Booking.com-ის შეფასებით 9,0-ქულიანი შეფასება დაიმსახურა.



აღსანიშნავია, რომ Booking-ზე გამოხმაურება შეუძლია დატოვოს მხოლოდ იმ სტუმარმა, რომელმაც დაჯავშნა მოახდინა Booking.com-ის მეშვეობით და იცხოვრა დაჯავშნილ სასტუმროში. ამ წესის მიხედვით, Booking.com-ის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ შეფასებას აკეთებს მხოლოდ ის კონკრეტული პიროვნება, რომელმაც იცხოვრა კონკრეტულ სასტუმროში და გამოორიცხულია შეფასების ყოველგვარი ფალსიფიცირება.

# აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი „დაპოუქიდავლის“ 8 წლისთვის აღნიშნავენ

ოკუპირებული აფხაზეთი და ენ სამხრეთ ოსეთი რუსეთის მიერ მათი დამოუკიდებლობის აღიარების 8 წლისთავს აღნიშნავენ.

2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის ბრძანებით ენ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის „სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა იქნა აღიარებული“.

როგორც ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბას სალხისადმი მიმართავთ ნათქვამი, „დღეს აფხაზეთი დიდი დღესასწაულს აღნიშნავს — რუსეთის მიერ აფხაზეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარებას“.

მისი თქმით, 8 წლის წინათ რუსეთის



ხელმძღვანელობამ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ლიდერებმა 26 აგვისტოს ერთმანეთს მიულოცეს.

# ქთიან სიხლაშვილი: დაღა დრო, ქართველებს, აფხაზებს, ოსებს ბავსნობიეროთ, რომ კონფლიქტი არ ემსახურება არც ერთი ჩვენი ხალხის ინტერესებს

შირიზაბისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ქეთიან სიხლაშვილის განცხადებით, 8 წლის თავზე დაღა დრო, ქართულმა, აფხაზურმა, ოსურმა საზოგადოებებმა გავაცნობიეროთ, რომ მოუგვარებელი კონფლიქტი არ ემსახურება არც ერთი ჩვენი ხალხის ინტერესებს.



„8 წელი გავიდა ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში ძალიან ტრაგიკული მოვლენებიდან, აგვისტოს ომიდან. 8 წლისთავზე, ალბათ, ნათელია ის, რომ რუსეთის მხრიდან აღიარების პოლიტიკა მსოფლიო მასშტაბით წარუმატებელია. საერთაშორისო საზოგადოება მყარად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და

სუვერენიტეტს, ასევე, წყნარი ოკეანის ორმა სახელმწიფომ — ვანუატუმ და ტუვალუმ — ფაქტობრივად, უკან გაიწვია საკუთარი აღიარება. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანად მიმაჩნია ის, რომ 8 წლისთავზე დაღა დრო, როდესაც ჩვენ — ქართულმა, აფხაზურმა, ოსურმა საზოგადოებებმა — უნდა გავაცნობიეროთ, რომ ის, რაც ჩვენ გავიარეთ ომის და კონფლიქტის სახით, ის შედეგი, რომელიც დღეს ჩვენ გვაქვს განგრძობითი ოკუპაციისა და მოუგვარებელი კონფლიქტის სახით, არ ემსახურება არც ერთი ჩვენი ხალხის ინტერესებს. ალბათ, დროა, რეალურად შევფასოთ ვითარება, მათ შორის, ის პროცესები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიდის“, — განაცხადა ციხელაშვილმა.

სახელმწიფო მინისტრის შეფასებით, ბოლო წლების განმავლობაში აფხაზურ და ოსურ საზოგადოების ნაწილში, ალბათ, ენ. აღიარებასთან დაკავშირებით ეიფორია სრულიად სამართლიანად გაქრა და გაჩნდა შიშები რუსიფიკაციის პროცესთან და საკუთარი იდენტობის დაკარგვასთან დაკავშირებით.

# ბიკ პოლსკი: მსოფლიოს მხრიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკა საქართველოს მსოფლიოში მისი პოლიტიკის საფუძვლიან ნაწილად უნდა დარჩეს

პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკიმ ჟურნალისტებს, რუსეთის მიერ 2008 წლის 26 აგვისტოს აფხაზეთისა და ენ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების საკითხის კომენტარებისას განაცხადა, რომ „იმ ქვეყნების რაოდენობა საკმაოდ ძლიერია, წარმომადგენლობითია, რომლებიც მხარს უჭერენ დევნილთა დაბრუნების შესახებ ჩვენს მიერ ყოველწლიურად წარმოდგენილ რეზოლუციას. მსოფლიოს კარგად ესმის, თუ რა ხდება საქართველოში და არაღიარების პოლიტიკაც საკმაოდ მძლავრია ამ მიმართულებით“.

პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკიმ ჟურნალისტებს, რუსეთის მიერ 2008 წლის 26 აგვისტოს აფხაზეთისა და ენ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების საკითხის კომენტარებისას განაცხადა, რომ „იმ ქვეყნების რაოდენობა საკმაოდ ძლიერია, წარმომადგენლობითია, რომლებიც მხარს უჭერენ დევნილთა დაბრუნების შესახებ ჩვენს მიერ ყოველწლიურად წარმოდგენილ რეზოლუციას. მსოფლიოს კარგად ესმის, თუ რა ხდება საქართველოში და არაღიარების პოლიტიკაც საკმაოდ მძლავრია ამ მიმართულებით“.

# უიოკლასი, კითხვობილი გზით სომხეთისკენ

სამხრეთ-დასავლეთ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ნოდარ ჯავახიშვილმა და საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი სეთურიძემ, საერთაშორისო მნიშვნელობის ფონიჭალა — მარნეული — გუგუთის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მოინახულეს. აღნიშნული გზა ქვემო ქართლის რეგიონსა და სომხეთის რესპუბლიკას თბილისთან უმოკლესი მანძილით აკავშირებს.

სამუშაოები დასრულების ეტაპზეა. დამანისის ტერიტორიის არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა აღნიშნული გზა განსაზღვრებით მნიშვნელოვანი გახადა, რადგან სწორედ მისი საშუალებით შეუძლიათ ტურისტებს მნიშვნელოვანი ისტორიულ ადგილებთან დაკავშირება.

პროექტის ფარგლებში, ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში მდებარე საგზაო მონაკვეთები შეკეთდება (საერთო სიგრძით 15 კმ). მოენწყობა ხელოვნური ნაგებობები, საყრდენი კედლები, ადგილობრივ გზებთან მიერთებები, მოსახლეობის ეზოებში შესასვლელი, ასევე, ავტობუსის გასაჩერებელი მოედნები და ავტოპარკინგები. უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველსაყოფად და მონიტაჟდება საგზაო ნიშნები და მოინიშნება გზის საფალი ნაწილი. სარეაბილიტაციო

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი საერთო ღირებულება 19 მილიონ 78,2 ათასი ლარია.



# კუთხე კვლავ კუნთებს ათაბაზებს და ანთ კიდე უფრო ემსგავსება ჰიტლერს!

ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნის – „კავკასია-2016“-ის – დაწყებამდე რუსეთის ხელისუფლება „გენერალურ რეპეტიციას“ ატარებს და შეიარაღებული ძალების სამხედრო მზადყოფნას ამოწმებს. მოულოდნელი სამხედრო შემოწმება დაიწყო 25 აგვისტოს, გათენებისას, და ის საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთსაც მოიცავს. რა მესიჯს უგზავნის რუსეთი საერთაშორისო თანამეგობრობას და რას აგრძობენ ის საქართველოს?


შეიარაღებული ძალების სამხედრო მზადყოფნის მორიგი მოულოდნელი ფართომასშტაბიანი შემოწმება რუსეთის ხელისუფლებამ 25 აგვისტოს, დილის 7 საათზე წამოიწყო. პროცესი მოიცავს სამხრეთის, დასავლეთის, ცენტრალურ სამხედრო ოლქებსა და ჩრდილოეთის ფლოტს. პროცესში ჩართულია ასევე საჰაერო-კოსმოსური ძალების სარდლობა და საჰაერო-სადესანტო ჯარების სამეთაურო შტაბი. ერთი სიტყვით, შემოწმება შეეხება როგორც ხმელეთს, ასევე წყალსა და ჰაერს. პრეზიდენტ პუტინის გადაწყვეტილება საზოგადოებას რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ გააცნო და აღნიშნა, რომ საუბარია ძალებისა და შესაძლებლობების საფუძვლიან შემოწმებაზე. შემოწმების პროცესი 31 აგვისტომდე გასტანს:

როგორც 25 აგვისტოს, სერგეი შოიგუს ბრიფინგის შემდეგ, იწყებოდა რუსეთის მედია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამხრეთი ოლქის მზადყოფნის შემოწმებას, რომლის პირადი შემადგენლობა 70 ათას სამხედროს ითვლის. ეს კი იმიტომ, რომ სწორედ ეს ოლქი შეასრულებს მთავარ როლს მოსკოვის მიერ სექტემბრისთვის დაგეგმილ ფართომასშტაბიან სამხედრო წვრთნაში „კავკასია-2016“. შესაბამისად, რუსი ექსპერტების ერთი ნაწილი შეიარაღებული ძალების მოულოდნელ შემოწმებას „კავკასია-2016“-ის გენერალურ რეპეტიციად განიხილავს. იმის გამო, რომ სამხრეთის სამხედრო ოლქი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებსაც მოიცავს, პროცესებს ყურადღებით აკვირდებიან თბილისიდანაც. საგარეო საქმეთა მინისტრმა მისხელ ჯანელიძემ კომენტარი გააკეთა:

„რა თქმა უნდა, ამ პროცესებს ვაკვირდებით. ნებისმიერი ასეთი ტიპის აქტივობა, რა თქმა უნდა, არ უწყობს ხელს მშვიდობას და უსაფრთხოებას რეგიონში და ჩვენნი მიზანია, რომ მაქსიმალურად გავაგრძელოთ მშვიდობიანი გზებით კონფლიქტის დარეგულირების პროცესი, შე-

ვინარჩუნოთ სტაბილურობა და საერთაშორისო ფორმატებში შევძლოთ ამ საერთაშორისო კონფლიქტის დარეგულირება“.

რუსეთი ამით საერთაშორისო თანამეგობრობას უგზავნის სიგნალს იმისა, რომ ის სამხედრო კუთხით კვლავ ძლიერია და მზადყოფნაშია. გარდა ამისა, ის სიგნალს უგზავნის თავის უახლოეს მეზობლებს, განსაკუთრებით, ვიეტნამს, ეს უკრაინას უნდა ეხებოდეს... რუსეთის მიერ სამხედრო ძალების დემონსტრირება ბევრს ცუდ მოლოდინს უჩენს, ბოლო პერიოდში რუსეთიდან წამოსული მუქარანარევი სიგნალების ფონზე. ასე მაგალითად, შეგვიძლია გავისხენოთ რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი შოიგუს მიერ



არცთუ შორეულ წარსულში გაკეთებული განცხადება, რომ სირიის მსგავსი შეიარაღებული კონფლიქტები შესაძლოა, აღმოცენდეს ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიაშიც და რომ რუსეთი ადეკვატურად იმოქმედებს ასეთი საფრთხეების წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ გამოცდილებაც მწარეა და აგვისტოს ომის წინ რუსეთმა სწორედ მსგავსი სამხედრო წვრთნა „კავკასია-2008“ ჩაატარა, ამჯერად, „კავკასია-2016“-ის პირობებში, რეალურ და კონკრეტულ საფრთხეს ვერ ხედავს ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფავარი. რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას ის იხსენებს, რომ ბოლო წლებში რუსეთმა კიდევ არაერთი ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნა თუ მოულოდნელი სამხედრო შემოწმება ჩაატარა, მაგრამ მათ გართულებები არ მოჰყოლია. ამასთან, ანალიტიკოსის აზრით, რუსეთს ამ ეტაპზე ომი ხელს არ აძლევს და გააქტიურება მხოლოდ „კუნთების თამაშს“ წააგავს. მოსკოვის მესიჯის ძირითადი ადრესატები დასავლეთი და მისი პარტნიორები არიან.

ლელა კუნძულია

# არ შეხდე, ჩემო სამხრელო!

შენი ღვთაებრივად დიდი ცოტნე დადიანის სულს გაფიცებ, არ ქნა ეგ, ჩემო სათაყვანო ოდაბადე, ჩემო ღმერთ-კაცების მშობელო. დიდი და უკვდავო, შენი დიდი კონსტანტინეს, ჟიულის, ათასობით უკვდავი მამულიშვილის სულს გაფიცებ, დაგიოქებ და გთხოვ, შენი ღირსება და იმ გმირების უკვდავება ლაფში არ ამოსვარო, არაკაცი, ქვეყნის მახარბი სააკაშვილის ცოლს არ წააბილწინო მედვას ნაკუნარი, ჩემი კურთხეული მინა-წყალი.

არადა, უკვე მსაყვედურობენ, რუსთავის ერთ-ერთ მშენებელ-მოამაგეს, ჩემი კუთხის მადიდებელ-მალმურთებელს, შენი სამეგრელო შეცდება ამ არჩევნებში, ქართველთა მთელს სააკაშვილის საეჭვო რეპუტაციის მქონე ცოლს ხმას მისცემს, ქვეყანას შეარცხვენსო.

მე კი თავი მომაქვს კოლხობით, ჩემი რუსთავი – დიდი შოთას ნაკუნარი ხომ ნეტარი ამირან ფანცულაის, ვაჟა გიგინიას, გიორგი სიგუას, სხვათა და სხვათა, ათასობით პირველი თაობის გამორჩეული მეტალურგების, ნაღდი ვაჟკაცების შრომითა და შემართებით აღორძინდა 1265 წელს მერქა ყაენის მიერ ნაოხარი საქართველოს აღმოსავლეთის კარიბჭე-ქალაქი, საუკუნეები უდაბნოდ რომ იყო მიგდებული და დღეს ქვეყნის მეორე ინდუსტრიული ცენტრია.

ამის თქმას მავალდებულებს გასული საუკუნის დიდი კოლხის რუსთაველების: ჩვენი ქალაქის ღირსეული, ამაგდარი ადამიანების, რუსთავის პირველი თავკაცის კაპიტნი ქორიას, სახელგანთქმული მეფოლადების, ჩემი ქალაქის საამაყო შვილების ლუდვიგ ხარბუდიას, გივი ოდიშარისა, გივი ჭანტურიას, გივი აბრამიას და სხვათა ამაგი. ისინი ათასები იყვნენ. დღეს მათი შთამომავალი ემსახურებიან ქალაქს, სამშობლოს. ჰოდა, ეს მათი სულელები მავალდებულებს, დღევანდელი თაობა მენშიანება, რომ აქედან შემოგიძახო, სამეგრელო!

დღეს საქართველოს ვერც ერთ კუთხეს ვერ შეხედავენ მიშა-რულოვისი და ნაცხროვისა, ასე თავხედურად აერჩიათ იგი სათარეშოდ, სანდრა რულოვისი პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებინათ ზუგდიდის რაიონში!

ჩემო მეგრელებო, მინდა, ერთხელ კიდევ შეგახსენოთ, რომ მიშა სააკაშვილს ყოველივე ქართული სძულს, ისევე ავტორიტარულ რეჟიმზე ოცნებობს, ყველანი ციხეში – აი, ეს არის მისი სამოქმედო პროგრამა.

ქვეყნის ამომგდები სააკანთ ბიჭი შორეთიდან გვიტყვს, ყველანიარადა ცდილობს თავს ახალი დიდი უბედურება დაგვატყოსო.

ჰოდა, ფრთხილად, ჩემო სამეგრელო, გონს მოეგე, ბოროტების ანკვს-ზე არ წამოეგო, რულოვისის ორი ღერი მეგრული დიდ უბედურებად არ გაქცეს.

გივი ჯანსუა,

დავით კლდიაშვილის, სერგეი მესხისა და საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიების ლაურეატი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი



# რატომ ბრეგაძე სახელმწიფო მინისტრის მოადგილე



დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მ.წ. 25 აგვისტოს № 01- 04/87 ბრძანების თანახმად, სახელმწიფო მინისტრის მოადგილედ დაინიშნა რატი ბრეგაძე.

რატი ბრეგაძე დაიბადა 1982 წლის 12 დეკემბერს, 2005 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ასევე 2011 წელს დაამთავრა შამხურაგის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. მინიჭებული აქვს სამართლის დოქტორის ხარისხი.

# თაყადაშის მინისტრის ახალი მოადგილე

საპარტოველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილედ ზაალ კაპანაძე დაინიშნა. შესაბამის ბრძანებულებას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ხელი უკვე მოაწერა. ზაალ კაპანაძე საქართველოს შსს აკადემიის პრორექტორი იყო.

ზაალ კაპანაძე სხვადასხვა დროს მუშაობდა შსს აკადემიის ლოჯისტიკის სამსახურის უფროსად, შსს აკადემიის სამეურნეო სამსახურის უფროსად, შსს აკადემიის სამეურნეო განყოფილების უფროსად, ასევე ზესტაფონის კვების პროდუქტების „ბუნებრივი სა-ღებავის“ ქარხნის დირექტორად.



საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

# მსოფლიო ქურდობა მსოფლიო ოკუპაციის ფხვანაზე

ძარტული მხარე უძღურია, რუსი მესაზღვრეების ჩვეულებრივი ქურდობა აღკვეთოს. ასევე შეუძლებელია კანონის შესაბამისად დაისაჯოს ის პირები, ვინც სხვის საკუთრებას იტაცებენ კონფლიქტის ზონაში. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სობისში 6 პეტარზე ადგილობრივი მოსახლეების მიერ დათესილი მოსავლის აღება რუსმა სამხედროებმა სპეციალური ტექნიკით დაიწყეს. მას შემდეგ, რაც ინფორმაცია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ცხელ ხაზზე შევიდა, რუსულმა კომბანდამ მუშაობა შეწყვიტა. ჩილინდრიშვილების ოჯახს 5 საათი მიეცათ იმისთვის, რომ საკუთარი მოსავალი აეღო.

შალვა ჩილინდრიშვილი, სობისის მკვიდრი, ვისმა ქერის მოსავალმა რუსი მესაზღვრეები ქურდობისთვის აცთუნა, პირველი არხთან ამბობს: „შემოვიდნენ რუსები კომბანდით, აიღეს ჩემს მიერ დათესილი მოსავალი. 6 პეტარი მაინცაა მათ მხარეს მოქცეული, ოკუპირებული. წუხანდელი მუშაობის შედეგად პეტარ-ნახევარ ფართობზე დათესილი აიღეს უკვე.“

ქართული მხარის ერთადერთი ბერკეტი ჟენევაში, დისკუსიის დროს, ან ერგნეთის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების ფარგლებში შეხვედრებზე საკითხის დაყენებაა. ხშირად

ამგვარი დიალოგები მაინც ჩიხში შედის, რადგან ოსური და რუსული მხარე ითხოვს დამადასტურებელ საბუთებს, რომელიც მინის მესაკუთრეს უნდა ჰქონდეს. მოუწყობელი სისტემის გამო, უმეტეს შემთხვევებში მინის რეგისტრაციის ოფიციალური დოკუმენტაცია არ არსებობს. სახელმწიფო რეესტრი ამ საკითხზე მუშაობას აგრძელებს, რომლის შედეგი უკვე რამდენიმე წელია, არ დამდგარა.

„ამერიკის ხმა“ გორის მუნიციპალიტეტის გამგებელს დავით ონაშვილს ესაუბრა, რომელიც თავად დაესწრო ჩილინდრიშვილების მიერ ქერის მოსავლის აღებას. „ფაქტია, რომ გუშინდელმა და დღევანდელმა მოლაპარაკებამ შედეგი გამოიღო. ჩვენ ასე ვაყენებდით საკითხს: თუ მაინცდამაინც არ უნდა ავიღოთ ეს მოსავალი, მაშინ სხვა რატომ უნდა აიღოს? მაშინ უნდა დაგვტოვოთ მინდორზე. მაგრამ რადგან დღეს შედეგა მოლაპარაკება, ეს უკვე კარგია. ახლა სწორედ ჩილინდრიშვილების ოჯახიდან მოვიდვარ. დააბნავს მოსავალი და ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა.“ – გვეუბნება იგი. რაც შეეხება ჩვენს შეკითხვას იმის შესახებ, აქვს თუ არა საპასუხო ქმედებების კონკრეტული სტრატეგია სახელმწიფოს იმ შემთხვევაში, თუ ანალოგიურმა შემთხვევებმა სისტემური ხასიათი შეიძინა, ამის თაობაზე გამგებელი ამბობს: „განმეორების შემთხვევაშიც იმედი მაქვს, რომ ჩვენივე ანალოგიურად და იმედი მაქვს, რომ ყველა შემთხვევა კარგად გადაწყდება“.

საინტერესო იქნებოდა ასევე რუსული მხარის მოსაზრების მოსმენა იმის შესახებ, თუ რით ხსნიან გადანყვებილებს სხვისი კუთვნილი მოსავლის მისაკუთრების თაობაზე.

რუსმა მესაზღვრეებმა ჩილინდრიშვილების ნაკვეთზე პირობითი საზღვარი მას შემდეგ მონიშნეს, რაც აქ ქერი უკვე დათესილი იყო. მომავალი წლისთვის ამ ნაკვეთის დამუშავებას ადგილობრივები მოერიდებიან. ასე რომ, ეს ტერიტორია დღეიდან ოკუპირებული ფართის ნაწილია.



# პაპის საღვთობა, სისხლის აღება და მახვილი

„სანამ სხვის ფეხების მალაღობა კაბინეტში ნატოში შესვლა-არშესვლის საკითხებს წყვეტენ, სანამ ჩინოვნიკები ევროკავშირისგან უფრო რეჟიმს ელოდებიან და იმას ფიქრობენ, როგორ მიიზიდონ უფრო მეტი ტურისტები ქვეყანაში, ამ მხარის მოსახლეობა თავისი ყოველდღიური საზრუნავით ცხოვრობს: როგორ ყველთ გამოაცხონ საჭაპური, როგორ უფრო ჯობია კუბდარის მირთმევა, გაგზავნონ თუ არა ქალიშვილი თბილისში სასწავლებლად, 500 კილომეტრის მოშორებით... და თუ თქვენ ამ სტრატეგიის წაკითხვისას უკვე მიხვდით, რომ საქართველოზე ვლადიმერ პუტინის, მარტინიუსის, ტერიტორიულად ეს მხარე საქართველოა, მაგრამ იქამდე ჩაღწევა ძალიან რთულია, ამინდის შესაბამისად...“ — ასე იწყება „ნეზავისიამა გაზეთში“ გამოქვეყნებული ვრცელი სტატია (ავტორი — ირინა აკიმუშკინა).



სვანი დგას. გარდა ამისა, „კლასიკური“ ქართველებისაგან განსხვავებით სვანებს უფრო ღია ფერის თმა აქვთ და რაც ყველაზე გასაკვირია — ცისფერი თვალები. მეცნიერთა ვარაუდით, სვანები შესაძლოა არიყენების ან სკანდინავიების შთამომავლები არიან (მსგავსი გამოკვლევა აქვს ტურ ჰეიერდალს). ნათესაობა სრულიად შესაძლებელია, თუმცა ერთი შესწორებით: როგორც სვანებმა მითხრეს, ცისფერთვალა სკანდინავები და გერმანელები ევროპაში კავკასიის მთებიდან, ანუ სვანეთიდანაც წავიდნენ, სწორედ ამიტომაა მსგავსება...

სვანები ერთმანეთში ყოველთვის სვანურად ლაპარაკობენ, დანარჩენ ქართველებს კი ქართულად ესაუბრებიან, ბავშვებსაც ქართულ ენაზე ასწავლიან. რუსებს და პოსტსაბჭოთა ქვეყნების წარმომადგენლებს რუსულ ენაზე ელაპარაკებიან, თანაც, ჩემი აზრით, ყოველგვარი აქცენტის გარეშე. სვანები საოცარი თავისუფლების მოყვარე ხალხია. საქართველოს ვინ არ ესხმოდა თავს — არაბები, მონღოლები, ოსმალები, სპარსელები, 100 წლის განმავლობაში მისი ტერიტორია რუსეთის იმპერიამაც შედიოდა, მაგრამ სვანეთის დამორჩილება ვერაფერ ვერ შეძლო. სვანებს მეფეც კი არ ჰყოლიათ“ — წერს ავტორი.

სტატიაში აღნიშნულია, რომ სვანეთი საქართველოს ძნელადმისადგომი რეგიონია, ადრე აქ მხოლოდ ბაზულის თვეებში თუ შეიძლებოდა ამოსვლა, ისიც ყველგანმავალი. ბოლო წლებში კი ვითარება შეიცვალა: ტურიზმის განვითარების კვალობაზე აშენდა ახალი გზა, ახალი აეროპორტი, საიდანაც ავიარეისები ხორციელდება როგორც საქართველოს დედაქალაქში, ასევე სხვა რაიონულ ცენტრებში. „თუ ლონდონის სიმბოლო თავურია, მოსკოვისა — ვასილი ნე-

ტარის ტაძარი, სვანეთის „სავიზიტო ბარათად“ ქვით ნაშენები კოშკები უნდა ჩავთვალოთ“, — აღნიშნავს ავტორი და მკითხველს სვანურ არქიტექტურას აცნობს — როგორ და რა მიზნით შენდებოდა კოშკები, რას ემსახურებოდა. „სვანეთში საზოგადოებრივი ცხოვრებაც სპეციფიკურია: უძველესი დროიდან აქ მიწას კლანები ფლობდნენ და ყველა კლანი დღემდე ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ ისინი საქართველოს სახელმწიფოს — დიდი თამარ მეფის გვართან არიან დაკავშირებული. სვანური ოჯახი მრავალშვილიანია და მეგობრულად ცხოვრობენ: როგორც სვანმა ქალებმა ამისთვის, ოჯახი და შვილები — აი, ამაშიაო ქალების და საერთოდ, ადამიანის ბედნიერება.

„ჯერ კიდევ თბილისში მეუბნებოდნენ, „თუ უშგულს არ ნახავ, ჩათვალე, რომ სვანეთში არ ყოფილხარო“, — აღნიშნავს ავტორი, რომელიც მართლაც ეწვია უშგულს და საკუთარი თვალით ნახა სოფლის სილამაზე, თუმცა იმასაც წერს, რომ უშგულში სისხლის აღების ტრადიცია შემორჩენილი (საუბარია თემისა და ოჯახის პასუხისმგებლობაზე, მახვილის — მომრიგებლის როლზე და ა.შ.). „აქ სწორედ მახვილი წყვეტს სამართალს და არა პროკურორი და პოლიცია“.

„ჩემი ქალიშვილი ამ დღეებში ქუთაისელ ბიჭზე თხოვდება, — თითქოს შემომჩივის ჩვენი დიასახლისი ლევა, — მაგრამ რა უნდა გააკეთოს იმხელა ქალაქში, რა ცხოვრება ელოდება იქ? ინტერნეტი, მობილური ტელეფონი და დისკოთეკა? განა ჩვენს მთებზე რაიმე უკეთესია? სუფთა ჰაერი და ჩვენი ტრადიციები... ჰოდა, მეც ვეუბნები: ჯერ კარგად დაფიქრებ და ნახავა ისე გადანიშნე-მეთქი. შენ ხომ ჩვეულებრივი ქართველი არ ხარ, შენ სვანი ქალი ხარ“, — ნათქვამია სტატიის დასასრულს.

# ა, პატონო, მამარი ტელევიზია! კოლონელ ტურისტებს თოვლის რესტორანი ეპროპოლოზის გემო დაატოვებინეს

18 პოლონელ ტურისტს, ევროპელების გამო რესტორანში მომსახურება არ გაუწიეს. შემთხვევა რამდენიმე დღის წინ ყაზბეგში მოხდა. სიუჟეტი თემაზე „რუსთავი-2“-მა მოამზადა. რესტორანი სტეფანწმინდა მრენველების ლიდერს გოგი თოვასძეს ეკუთვნის. პოლონელი ტურისტების გიდი, ლალი დუდუკი „სტეფანწმინდაში“ მომხდარს იხსენებს: „გოგითხრეს, გთხოვთ, დატოვოთ რესტორანიო. მეზუმრები შვილო-თქო? ვკითხე. არა, ქალბატონო, გთხოვთ, გაბრძანდეთ და გაიყვანოთ თქვენი ჯგუფიო. გაიცინა, ევროპელებს არ ვემსახურებითო“. თავად გოგი თოვასძე ევროპელი ტურისტებისთვის რაიმე სახის შეზღუდვას გამორიცხავს. „ოღონდ ტურისტები მივიდეს, რას ლაპარაკობთ“, — განაცხადა დეპუტატმა.

მართლაცდა, რა შუაშია ეპროპოზა, თოვასძისთვის მთავარია ფული. ყოჩაღ, ნიკა გვარამიას ჯოჯოხეთი, „ამის მოგონება არ გინდა!!!“



# ინდოელები ქართული ჩაის აღმოაჩინებენ დაბრუნებამდე

საქართველოში ჩაის წარმოების თვალსაზრისით არსებული გარემოს შესწავლის მიზნით, საქართველოში ინდოეთის მძიმე მრეწველობისა და სახელმწიფო სანარმოების სამინისტროს წარმომადგენლები იმყოფებიან.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ იური ნოზაძემ და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორმა ლევან უჯმაჯურიძემ ინდოელ სტუმრებს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მრავალწლოვანი კულტურების საკვლევი ბაზა დაათვალიერებინეს და ვაზისა და ხეხილთვანი კულტურების გენოფონდი გააცნეს.

ინდოეთის დელეგაციის წევრებმა აღნიშნეს, რომ ინდოეთის მხარე მზადაა საქართველოსთან სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით ითანამშრომლოს. ინდოელი სტუმრები განსაკუთრებით საქართველოში ჩაის კულტურის წარმოებით დაინტერესდნენ.

როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, ინდოეთის ჩაის წარმოების კუთხით დიდი გამოცდილება აქვს და ქართული მხარისთვის მნიშვნელოვანია ამ გამოცდილების გაზიარება, ასევე ინდური ჩაის ჯიშების საქართველოში ინტროდუქცია.

საქართველოში ვიზიტის ფარგლებში ინდოეთის დელეგაციის წევრები სამეგრელოს, გურიისა და აჭარის რეგიონებში ჩაის პლანტაციებს დაათვალიერებენ და არსებულ მდგომარეობას ადგილზე გაეცნობიან.



# პანკისელები „დაეუბნებენ“ სიკვდილს განაგრძობენ

სირიაში საქართველოს მოქალაქე სულთან გუმაშვილი დაიღუპა. პანკისის ხეობის მოსახლეობის განცხადებით, იგი სირიაში 2013 წელს, 18 წლის ასაკში გაემგზავრა. მამამისი — ადამ გუმაშვილი — ტერიტორიული დაჯგუფება „დაეშის“ ერთ-ერთი ლიდერია. ოჯახის დანარჩენი წევრები სოფელ ჯოჯოხეთში აგრძელებენ ცხოვრებას.

სულთან გუმაშვილი ერთ-ერთი იყო საქართველოს რამდენიმე ათეული მოქალაქედან, რომელთაც ქვეყანა დატოვეს, აღმოდებულ სირიაში გაემგზავრნენ და „დაეშის“ რიგებში ჩაენერნენ. ამ დროისთვის არსებული მონაცემებით, 2012 წლიდან სირიაში პანკისის 21 მკვიდრი დაიღუპა, რომელთა შორის ყველაზე უფროსი 40 წლის აბდულ-მალექ მუთოშვილი გახლდათ, უმრავლესობა კი 20 წელს ოდნავ იყო გადაცილებული.



როგორც პანკისის ხეობის მკვიდრი მექა ხანგოშვილი აცხადებს, გუმაშვილები მისი ნათესავები არიან. იმას, რომ ახალგაზრდობა „დაეშის“ რიგებისკენ ისწრაფვის, იგი, წარსულში საქართველოს მთავრობის უმოქმედობასაც უკავშირებს:

„თავისთავად ცხადია, ეს შედეგია იმისა, რომ სახელმწიფოს პანკისის ხეობასთან მიმართებაში მიზანდასახული პოლიტიკა არ გააჩნდა. მე არასოდეს ვაქებ ამა თუ იმ მთავრობას, ყოველთვის კრიტიკული ვარ. მაგრამ ახლა უნდა ვთქვა, რომ ბოლო დროს ბევრი რამ გაკეთდა — იგივე განათლების სფეროში. თუმცა უმუშევრობის პრობლემა ამ დრომდე მწვავედ დგას მთელს ხეობაში. მთავარი კი, რის გამოც ახალგაზრდობა იქ მიდის, იდეოლოგიური ფაქტორია. თავის დროზე იგი არავინ აღმოფხვრა“.

ექსპერტი კავკასიის საკითხებში ალექო კვასიაძე ასევე თვლის, რომ ამ საკითხში იდეოლოგიური ფაქტორი უმთავრესია:

„ბევრი, ვინც სირიასა და ერაყში პანკისიდან წავიდა, საკმაოდ მდიდარი და წარმატებული ოჯახიდანაა. ამდენად, ყველაფერს სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს ვერ მივანერეთ. აქ უმთავრესად იდეოლოგიასთან გვაქვს საქმე“.

იდეოლოგია ბოროტების ძირითადი ფესვია, — მიიჩნევს უსაფრთხოების საკითხთა ექსპერტი გიორგი გობრონიძე — „დაეშის“ რიგებში განვერებულ ბევრ ახალგაზრდას, მისი თქმით, ყურანი არც კი ნაუკითხავს. სსრკ-ის დაშლის შემდეგ სასულიერო პირებს, რომლებიც არაბულად არ საუბრობდნენ, უჭირდათ, რაიმე დაეპირისპირებინათ სალაფიზმის არსაიდან აღმოცენებული მქადაგებლებისთვის.

რელიგიური განათლების პრობლემა დღესაც დგას, — აგრძელებს გობრონიძე, — მედრესეს საგანმანათლებლო რელიგიური დაწესებულების სტატუსი არა აქვს (ისევე, როგორც სასულიერო აკადემიასა და სემინარიას), სახელმწიფო არ აკონტროლებს, კონკრეტულად რა ისწავლება იქ და რა ფასეულობები იქადაგება.

ექსპერტი იმასაც განმარტავს, რატომ იზიდავდა „დაეში“ გარკვეულ ადამიანებს:

„გარკვეული თვალსაზრისით, იგი წარმატების ისტორიას ქმნიდა. ყოველთვის ასე იყო: რაც მეტად წარმატებულია ტერორისტული ორგანიზაცია, მით მეტ ადამიანს იზიდავს იგი საკუთარ რიგებში. ჩვენს შემთხვევაშიც ასე მოხდა: ბევრს „დაეში“ წარმოედგინა რაღაც სიახლედ, წარმატებულ ორგანიზაციად, რადგან თავდაპირველად იგი ერაყის ჯარს ბრძოლას ბრძოლაზე უგებდა“.

მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა ისიც, რომ კავკასიელები, მათ შორის ახალგაზრდები საქართველოდან, როგორც წესი, „დაეში“ კარიერულ კიბეზე საკმაოდ სწრაფად ადიან. თუმცა ახლა, თვლის ექსპერტი, ტერიტორიული ორგანიზაციის „პოპულარულობა“ მკვეთრად ეცემა — შეპირებული „თვითრეალიზება“ მასში ყველამ ნამდვილად ვერ მიიღო.

გარდა ამისა, ცხადი გახდა, რომ „დაეშისგან“ თავის დაღწევა ბევრად რთულია, ვიდრე მასში მოხვედრა. გობრონიძის თქმით, დაჯგუფებიდან გასვლის სურვილის გამო რამდენიმე ადამიანი მოკლეს. დაბოლო — მესამე: ექსპერტის აზრით, ბოლო დროს ხეობაში ვითარება უმჯობესდება, იქ გაჩნდა საკუთარი რადიოსადგური, დაიწყო ღონისძიებების განხორციელება — რაღაც ალტერნატივა მაინც გაჩნდა რადიკალური ისლამისტებისთვის, რომლებიც ახალგაზრდობას იბირებენ.

„ესო კავკასია“, სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისთვის“

ამ ხანებში ხელახლა ავაკითხე სოფელ აკურის სახელგანთქმულ „მამადავითს“. იგი გიორგი ჩუბინიშვილის მოსაზრების თანახმად, IX საუკუნის დიდი საეკლესიო მოღვაწის ილარიონ ქართველის მიერ დედისა და დისთვის აშენებულ მონასტრად და მიჩნეული. ბოლო ჟამს სხეულს მოსაზრებას დიდი ზზარი გაუჩნდა და სწორედ ამის თაობაზე მსურს საუბარი.

პირველ დიდ ექვს ტაძრის ლაპიდარული წარწერები ბადებს. აღმოსავლეთ ფასადის სარკმლის ქვეშ მოთავსებულ მშენებლობის დროინდელ - ე. ი. IX საუკუნის (ასე ათარიღებენ ხელოვნებათმცოდნეები და არქიტექტორები ამ ეკლესიას) ნაკვეთ წარწერაში ნახსენებია გიორგი და მისი ძენი - „განუსვენე უფალო სულსა გიორგის ძეთასა“. დასავლეთ ფრონტონის საღებავით შესრულებულ ორ წარწერაში ვხვდებით „ტბლ“-ს და „დვლთ“-ს, რომლებიც ასევე შვილებთან ერთად (ოღონდ ცოცხლებთან) არიან მოხსენიებული. ამასთანავე, როგორც ტექსტშია ნათქვამი, ტბლს საჩქაროდ აუშენებია თუ შეუკეთებია ეს ეკლესია - „ქ. წმიდაო ღმრთისმშობელო შენი ყალბ ტბლ და შვილი მისნი. მოსწრაფებია ქმნა (და) ალაშენა (წმიდაი) ესე საყდა(არი) შენი“. სიტყვა „ალაშენა“ ძველად არა მარტო აშენებას, არამედ აღდგენა-აშენებასაც გულისხმობდა.

ჩნდება შეკითხვა: ტაძარი თუ ილარიონ ქართველის აგებულია, მისი სახელი რატომ არსად არ ჩანს? ამიტომ მყოფნის გამბედაობა და ვამბობ, რომ აკურის ეს ტაძარი წმ. ილარიონის მიერ აგებული დედათა მონასტერი არაა. იგი უფრო მამამისის მიერ აგებული ის მონასტერია, რომელიც თავად ყმანვილი ილარიონისა და მისი 16 თანატოლისთვის დაარსდა.

როგორც „ილარიონ ქართველის ცხოვრების“ ყველა რედაქცია გვეუბნება, ილარიონი 15 თუ 16 წლის ასაკში მამის მზრუნველობას განერიდა და უფალს დამორჩილებული მშობლიური (მამისეული) მონასტრიდან ჯერ გარეჯის უდაბნოში წავიდა, შემდეგ კი იქიდან - იერუსალიმში. 17 წელი რომ გამოხდა, დროებით შინ დაბრუნებულ ილარიონს მამა და ძმები გარდაცვლილები დახვდა. რა ხდებოდა ამ 17 წლის მანძილზე ილარიონისგან მიტოვებულ კახეთში? სამთავროს უჯარმულ ტახტზე ცვლილება: გრიგოლ ქორიკოზს ჯერ ივანე ქვაბულისძის ვაჟი - დაჩი ცვლის, მერ კი სათავეში გარდაბნელი დონაურები მოდიან. 840-842 წლებში კახეთი ანტიარაბული კოალიციაშია და გაავაზნა ბრძოლაში იბნ იაზიდის ლაშქარს ამარცხებს. შესაძლოა, სწორედ ამ ბრძოლაში ან სულაც შიდა დაპირისპირებაში ილუპებინ ილარიონ



კალაურის „ნათლისმცემლის“ და მისი სატრაპეზოს კარიბჭე




# ერთი საიდუმლოს გასაღები

ნის ძმები. მამამისი მათ საკუთარი ხელით აგებულ იმ სასწავლო მონასტერში კრძალავს, რომელთანაც ძველი, მამაშვილური განცდა აკავშირებს. მალე თვით გიორგიც აღესრულება.

თუ ამ ვერსიას დავყვარდებით, ყველაფერი თავის ადგილზე ჯდება და ჩვენ ილარიონის მამის სახელსაც ვგებულობთ - გიორგი. პასუხგაუცემელი რჩება ორი შეკითხვა: 1) თუ არა ეს, მაშ რამელია ილარიონის მიერ აგებული დედათა მონასტერი, რომელშიც მისი დედა და და დაეყუდნენ? 2) ვინ არიან „მამადავითის“ დასავლეთ ფრონტონის საღებავით შესრულებულ წარწერაში ნახსენები „ტბლ“ და „დვლთ“?

პირველ შეკითხვას ოდნავ მოგვიანებით ვუპასუხებ, დასავლეთ ფრონტონის წარწერაზე კი შემდეგის თქმა შეიძლება: თეიმურაზ ბარნაველის მოსაზრებით ეს წარწერა IX საუკუნისაა; ნოდარ შოშიაშვილის მოსაზრებით კი X-XI საუკუნეებისა. ასეა თუ ისე, „ტბლები ქართლის ის ცნობილი ერისთავები არიან, რომლებიც X-XI საუკუნეებში დავით დიდი კუროპალატისა და გაერთიანებული საქართველოს პირველი ბაგრატიონი მეფის - ბაგრატ III-ის წინაშე მოექცნენ. მაგრამ არის კიდევ ერთი ძალიან სასწაულო, რომელიც ტბელი ფეოდალების კახეთში გამოჩენას უფრო ადრეულ ხანას - VIII საუკუნეს მიაწერეს. ლეონტი მროველის თხზულებაში „წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი, რომელი იყო მეფე ქართლისა“, ნათქვამია „ხოლო ვითარცა აღესრულა წმიდა მონაწიე, მივიდეს ლამესა მას გოდერძიანი ტბელი და მათ თანა სსუანიცა აზნაურნი მამეანნი და მოიპარეს გუამი წმიდისა მოწამისა არჩილისი, წარმოიღეს და შემურეს დიდითა პატივითა და დამარხეს ნოტ-



კორას მის მიერ აღშენებულსა ეკლესიასა, ხოლო ცოლმან მისმან მიუბოძა სოფლები მათ, რომელთა მოიღეს გუამი წმიდისა არჩილისი კახეთსა შინა სამკვიდრებლად“. აქედან გამომდინარე, ნოდარ ასათიანი 1935 წლის სადოქტორო შრომაში, ექვს გამოთქვამს, რომ ტბელი თვით ილარიონისა და მისი სახლის გვარ-წოდებაა.

მაგრამ რა ვქნათ, თუ წარწერის დათარიღებაში ნოდარ შოშიაშვილი უფრო მართალია (ჩვენც ასე მიგვაჩნია)? ასეთ შემთხვევაში ოდნავ შეცვლილ სურათს ვიღებთ: მართალია, ტბლებმა, შესაძლოა, აკურში და ვანთაში VIII ს-ში მიიღეს სამკვიდრო მიწები, მაგრამ ისინი მაშინ უთუოდ ან ჭერემის ქვეყნის გამგებელი რევიანი ერისთავის (ანუ ილარიონის სახლის) ქვემდებარე იქნებოდნენ გარკვეულწილად ან არადა - კისისხეველი ქვაბულისძეებისა. შემდეგ, როცა ილარიონის სახლი უმკვიდრო შეიქნა, ხოლო ქვაბულისძენი აფხაზეთში გადაიხვეწნენ, ტბლები უთუოდ წინა პლანზე წამოიწვედნენ. უფრო მეტიც - ისინი X-XI საუკუნეებში ბაგრატ III-ის მიერ შევიწროებული და ქართლიდან აქეთ წამოსული დანარჩენი ტბელებითაც განევრცობოდნენ და გაძლიერდებოდნენ.

ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ტბელი არა ილარიონის, არამედ მასთან დაპირისპირებული, მეზობლად მცხოვრები დედის ძმის გვარია. სწორედ ეს გვარი განაახლებს „მოსწრაფებით“ „მამადავითს“ X-XI საუკუნეებში.

ახლა ჩვენს პირველ შეკითხვას გამოვხმაურით: - თუ არა აკურის „მამადავითი“, მაშ რომელი უნდა იყოს ილარიონ ქართველის მიერ აგებული დედათა მონასტერი? ამ საკითხში გასარკვევად მკითხველი სოფელ კალაურის ტყეში სამოგზაუროდ უნდა გაიყოლიოს.

...კალაურის შესასვლელში ბადრი ბაშოშვილი - ადგილობრივი მეტყვევ გველოდება, „ნათლისმცემელში“ უნდა ავიყვანოს. ეს ის ტაძარია, რომელსაც აკურის „მამადავითის“ ისტორიაში კორექტივები შეაქვს.

ჩვენ სახელოვან მკვლევარ გიორგი ჩუბინაშვილს, სამწუხაროდ, „ნათლისმცემელი“ ნანახი არ ჰქონდა. 2007 წელს თამაზ დვალმა იგი არქეოლოგებთან გიგა რჩეულიშვილთან და გიორგი ლალიაშვილთან ერთად. შეისწავლა 2009 წელს „ნათლისმცემლის“ საკუთრების წინ, აღსავლის კართან, უძველესი იატაკი ქვეშ აღმოჩნდა ჩონჩხი, რომელიც, ანთროპოლოგიური გამოკვლევის თანახმად (მკვლევარი ლია ბითაძე). 45 წლის ქალს ეკუთვნის. მისი სამარხი ცარიელი იყო. სულ მალე გარშემოსავლების სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში კიდევ ერთი ქალის ჩონჩხი აღმოჩნდა, რომელსაც მინის სამაჯური ეკეთა. აშკარა იყო, რომ მკვლევარები უძ-

ველეს დედათა მონასტერში იდგნენ. ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსი ტყეში, კალაურისხევის მარჯვენა ნაპირიდან, 150 მეტრში, მოზრდილ ვაკისზე დგას. კომპლექსში შედის დიდი, სამკვლესიანი საყდარი (19,7X13,95 მ.), ასევე დიდი სატრაპეზო (24X11,5 მ.), მარნის, კარიბჭის და გალავნის ფრაგმენტები. ეკლესიიდან აღმოსავლეთით, 50-ოდ ნაბიჯში, ხის ქვეშ, ჩანს მცირე აკლდამა (3,2X2,8 მ.). მართალია ტაძარი და სატრაპეზო უკეთაა შემონახული, მაგრამ სახურავი არც მათ აქვთ.

დადგინდა, რომ ტაძრის კედლის ქვედა მონაკვეთი, საკუთრების ხარისხის დონემდე, ადრეულ ეპოქაში, დაახლოებით VI-VII საუკუნეებშია აგებული, ზევით კი IX საუკუნის ქვათა წყობაა. უნდა ითქვას, რომ ჭერემის ქვეყანაში ასეთი ხუროთმოძღვრული „მცნობა“ ძალიან ხშირია.

კალაურის „ნათლისმცემელი“ ილარიონ ქართველის მიერ დედისთვის (და დისთვის) აგებული მონასტერი უნდა იყოს.

...მაგრამ ილარიონს მარტოოდენ დედათა მონასტერი არ აუგია. „და კულად ალაშენა სხუი მონასტერი მამათათვის და შეკრიბნა მას შინა ძმანი ვითარ სამოციდა ათექუსმეტნი... და განუნესა მათცა წესი და კანონი, სიმსხისა მათისა შემსგავსებული და აღუშენა ეკლესია და შეამკო ყოვლითავე სამაჟულითა და მოიგონა წიგნი და დასხნა მას შინა, და შეწირნა სოფელი, რომელი დაუთომილი იყვნენ მამულისაგან თვისა (რაც კი დარჩენოდა დედათა მონასტრისა და სხვა ეკლესიების აშენების შემდეგ - გ. ქ.)“. ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ მამათა ეს მონასტერი გარეჯის უდაბნოს რომელიღაც მონასტერია, მაგრამ, კონტექსტიდან გამომდინარე, როცა დავით გარეჯის მონასტრებზეა ხოლომე საუბარი, „ცხოვრების“ ყველა რედაქციაში ეს მინიშნებულია, ამ შემთხვევაში კი აშკარაა, რომ საქმე შეეხება მშობლიურ შემოგარენში - მამულში აგებულ მონასტერს. კიდევ უფრო განვიმტკიცებთ ამ მოსაზრებას უცნობი ავტორის (IX ს.) მიერ შექმნილი საგალობელი, რომელიც, მანანა დოლაქიძის მტკიცებით, ილარიონის სახელზე შექმნილი ყველაზე ძველი ლიტერატურული ძეგლია. აი, მისი ტექსტი: „...მოხუდ ქუეყანად თვისსა და ალაშენე ექუსნი მონასტრნი დიდებულნი, სადიდებელნი სამებისა წმიდისანი და შეკრიბე მას შინა კრებულნი იორსათაი, რომელნი ან პატივცემენ შენ“... აქ ციფრი 6 ფიგურალური არ არის, თორემ ასე რომ ნდომებოდა, ავტორი 12-ს ან 9-ს იტყობდა; 6 კონკრეტული გამოხატულებაა. ეს საგალობელი რომ საქართველოშია შექმნილი, მგონი სადავო არ უნდა იყოს, მაგრამ თუ კარგად დაუკვირდებით, აქ სიტყვა „ქვეყანაში“ კონკრეტული ადგილია ნაგულისხმევი და გარეჯის უდაბნო, მგონი, არაფერ შუაშია. ილარიონის „ცხოვრების“ მოკლე და უძველეს რედაქციაში (IX ს.) ნათქვამი „ილარიონი იყო ქვეყნით კახეთით“ და საგალობელში (IX ს.) ნათქვამი „მოხუდ ქუეყანასა თვისსა“ კახეთის ერთსა და იმავე ადგილს გულისხმობს. მკითხველს უნდა შევახსენო, რომ IX საუკუნეში გარეჯის უდაბნოს ნახევარი კახეთის სამთავროში კი შედიოდა, მაგრამ იგი ისტორიული კუხეთისა და სუჯეთის პროვინციათა ნაწილი იყო და ილარიონის მამული არ გახლდათ. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ექვსივე მონასტერი ილარიონის მშობლიურ მიკრო ქვეყანაშია საძიებელი. ასეც რომ არ იყოს და სათვალავში გარეჯში აშენებული ილარიონის ორი მონასტერიც (ე. წ. „ილარიონის ფილიალი“ და გაფართოებული-განახლებული „ფერისცვლება“) რომ მივიღოთ, დედისთვის აგებული მონასტრის გარდა, კალაურ-ვაჩნაძიანის გარშემო, 3 სხვა მონასტერი მაინც გვრჩება მოსაძებნი.

გელა ქოძიაშვილი, ამბროსი ფოგოები

დასასრული. დასაწყისი  
№119, 123, 127, 135, 141, 146



აკურის „მამადავითი“ და მისი მთავარი წარწერა აღმოსავლეთ სარკმლის ქვეშ.





ყოველკვირული ლიტერატურულ-კულტურული ჩანაწერი №255

# დიდი მოქალაქის სტატუსით...

თანამედროვე საქართველოში სიტყვა „მოქალაქე“, სამწუხაროდ, იმ სიტყვათა რიცხვს განეკუთვნება, რომლის მნიშვნელობაც ერთობ გაფერხვითადაა აღიქმული, და ეს არ არის გასაკვირი, იმ, არცთუ ყოველთვის პოზიტიური, გამოცდილების გათვალისწინებით, რაც დაკავშირებულია ამ სიტყვის გამოყენებასთან პოლიტიკური პარტიის, თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის დასახელებებში. მიუხედავად ამისა, იყო შენი ქვეყნის ნამდვილი მოქალაქე, დიდი ხნის მოქალაქე მხოლოდ განსაკუთრებული

ნიჭით და სითამამით დაჯილდოებული ადამიანების ხედილია.

მე არ ვახსოვრებ ვინაა იმ დროის ფსიქოლოგი და, ამდენად, ვერ ვისაუბრებ აკადემიკოს შოთა ნადირაშვილის დამსახურებაზე ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში. თუმცა, ბატონი შოთა არ იყო მხოლოდ მეცნიერი, ის იმავდროულად დიდი საზოგადო მოღვაწე გახლდათ და ამ თემზე კი საუბარის უფლებას ჩემ თავს მივცემ.

ბატონი შოთა თავისი ცხოვრებისული პოზიციით იყო იმ სტატუსის მატარებელი, რასაც ჯანსაღ საზოგადოებაში „მოქალაქის“ ერთობ მოკრძალებული სახელი ჰქვია. უფრო ზუსტად კი ბატონი შოთა ნადირაშვილი გახლდათ „დიდი მოქალაქე“, რადგანაც ის არასდროს არ იხვედა უკან და საჯაროდ აფიქსირებდა პროფესიონალიზმზე დაფუძნებულ თავის მოქალაქეობრივ პოზიციას, იმისდა მიუხედავად ეს სიამოვნებას მოჰგვრიდა ხელისუფლებას თუ არა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის კრიტიკული დღეებიდან მოყოლებული ბატონი შოთა ნადირაშვილის სახელი გასცდა პროფესიულ წრეს და მთელი ქართველი საზოგადოებისათვის გახდა ცნობილი, რადგანაც ის თავის პროფესიულ ცოდნასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაყრდნობით მიმართავდა სახელმწიფო დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ადამიანებს და ცდილობდა ოპტიმისტური განწყობის შექმნასა და გაძლიერებასთან ერთად, გაეფრთხილებინა ქართველი ხალხი მომავალი სირთულეების შესახებ. განსაკუთრებით რთულ პირობებში მას და მის თანამო-

აზრებს მოუწია ბრძოლა „ვარდისფერ სენთან“, რომელიც ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ გზით ხელისუფლებაში მოსულ ნაციონალურ მოძრაობასთან არის დაკავშირებული. მთავრობამ ძლიერი დარტყმა მიაყენა ქართულ კულტურას და მეცნიერებას – შეტევა განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე, საქართველოს მწერალთა კავშირზე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაზე. ამ ურთულეს ვითარებაში აკადემიკოს შოთა ნადირაშვილის არ შეეძლო ჩემად ყოფნა – ის თავის თანამოაზრეებთან ერთად შეეწინააღმდეგა ბოროტ ძალას, არ გაჩუმებულა, არ მორგებია შექმნილ სიტუაციას, რაც, სამწუხაროდ, არაერთმა მისმა კოლეგამ შეძლო. კონფორმიზმი არ იყო ბატონი შოთასათვის მისაღები და ის უშიშრად ღიად დაუპირისპირდა ხელისუფლებას.

კონფორმიზმი, სამწუხაროდ, უცხო არ იყო და არც ესაა არის ბევრი ჩვენი თანამემულისათვის, მათ შორის ბატონი შოთას კოლეგა-მეცნიერებისათვის, თუმცა გამორჩეულ, დიდ მოქალაქეებს შეუძლიათ, დაძლიონ კონფორმიზმის გზით სარგებლობის მიღების ცდუნება, და საზოგადოებას უთხრან მართალი სიტყვა.

აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი სწორედ ასეთი გამორჩეული, დიდი მოქალაქე იყო და ჩემთვის, ისევე როგორც ნებისმიერი მისი თანამემულისათვის თუ თანამოაზრესათვის, დიდი პატივია ის, რომ შევძლია ვთქვათ, რომ ბატონმა შოთამ ნება დაგვრთო მის გვერდზე ვმდგარიყავით და მისი მაგალითის შემყურე მეტი სითამამით დაუპირისპირებოდი და მომავალშიც, თუ საჭირო გახდა, დაუპირისპირდეთ უსამართლობას, უმეცრებას, ბოროტებას.

ვლადიმერ (ლადო) პაპაძე  
აკადემიკოსი

# მეცნიერების სწორუპოვარი ჩაინდი

მინდა გესაუბროთ გამორჩეული პიროვნების შესახებ, რომელიც ჩემს წარმოდგენაში მეცნიერების სწორუპოვარი ჩაინდია. მან მთელი თავისი ნიჭი, დრო და ენერჯია მოაწოდებდა ისეთი სფეროს შესწავლას, რომელიც მაშინდელი ხელისუფლების მიერ ტაბუდადებული იყო; იკრძალებოდა სოციალური საკითხების, მისი ფსიქოლოგიური ასპექტების კვლევა. ყველაფერი იდეოლოგიური წნეხის ქვეშ იყო მოქცეული.

ამ იდეოლოგიამ ბევრი წარჩინებული ადამიანი შეიწინა, როგორც მეცნიერების, ისე კულტურის სფეროდან. შოთა ნადირაშვილს უკან არასოდეს დაუხევია. მან განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები განავრცო და წარმოაჩინა სოციალური ყოფის ფსიქოლოგიური ასპექტები, ჩვენს ქვეყანაში დააარსა ახალი დარგი – სოციალური ფსიქოლოგია. მარქსისტურ-ლენინური იდეოლოგია მისი გზამკვლევი არასოდეს ყოფილა. იგი ნამდვილი მეცნიერი იყო, ობიექტურ კანონზომიერებათა აღმოჩენის და შემსწავლელი. მაგრამ მისი ინტერესები მხოლოდ ამ სფეროში არ შემოიფარგლებოდა. მას ამოეთებდა ჩვენი კრიზისში მყოფი განათლების სისტემა, ფუნქციონირებადი სასწავლებლები, სადაც ბავშვები გასართობად დადიან, როგორც კლუბში, ხოლო საგნებს რეპეტიტორებთან სწავლობენ. ბატონმა შოთამ საგანგებოდ შეისწავლა ბავშვის აზროვნების ფსიქოლოგია და ბევრი საინტერესო კანონზომიერებას აღმოაჩინა.


იგი ერთნაირად ძლიერი იყო, როგორც ექსპერიმენტატორი და როგორც თეორიული საკითხების განმაზოგადებელი. შეუდარებელი პედაგოგი იყო; თავის გარშემო შემოიკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდობა, დააცვივინა სა-

კანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, დროს არ იშურებდა მათთან ურთიერთობისთვის და ეს ხდებოდა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, ერთუბაზმის დონეზე. გაგიკვირდებათ: მისი მოწაფეების რიცხვი თითქმის ასამდე აღის.

ბატონი შოთა ნამდვილი ეროვნული მოღვაწე იყო. აღმოეთებდა ვერ მალავდა ჩვენი მტრების უღირსი ქცევის გამო, რომელთაც მაშინაც და ახლაც ვაუკაცობა არ ყოფნით ბრძოლაში პირდაპირ გამოგვიწვიონ, ზღაპრული გველეშაპივით მოვოცავენ და მანერებს გვიდგამენ წინაპრების სისხლით გაუღენთილ მიწაზე.

19 წელს ლაიპციგში ჩატარებულ ფსიქოლოგთა მსოფლიო კონგრესზე ბატონმა შოთამ ბრწყინვალე მოხსენება წაიკითხა განწყობის როლის შესახებ სოციალურ ფსიქოლოგიაში და მეცნიერთა საყოველთაო აღტაცება გამოიწვია. ყველას პირზე ეკვრა მისი მიდგომის ორიგინალური ხასიათი, კომპეტენციის მაღალი დონე.

ბატონი შოთას, როგორც მეცნიერის, დაფასება მხოლოდ აკადემიკოსობით შემოიფარგლა. ერთ მშვენიერ დღეს კი ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა კონვენტში მივიღეთ, რომლებშიც ეწერა: „გათავისუფლებული ხართ დაკავებული თანამდებობიდან“. არაერთი დასამუთება – რატომ! თითქოს არც ყოფილა ჩვენი ხელმძღვანელობით დაწყული დისერტაციები, ჩვენი შრომები, წიგნები... ასეთ მიდგომარეობაში ჩვენი თაობის ბევრი წარმომადგენელი აღმოჩნდა. მახსენდება სენტ-ევბუერის ნათქვამი: „ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“. ჩვენს თაობას ეს სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით აგვიხდა: ბავშვობაში განცდილი შიმშილი, სიცივე, ღუბჯირი ომისდროინდელი ყოფა მოხუცე-



ბულობაში გაგვიმეორდა. ბატონი შოთას სიცოცხლის ბოლო მონაკვეთში წამდენჯერ ვესხდარვართ ჩვენი ინსტიტუტის I სართულზე, გაყინულ ოთახში, უკვე „განთავისუფლებულნი“ და გვიოცნებია იმ დროზე, როდესაც მეცნიერთა მოღვაწეობა ადეკვატურად დაფასდება. ეს დრო, ალბათ, მალე დადგება, ოღონდ – უჩვენოდ. მთავარია – დადგეს!

იათაფა (იათო) კობახიძე  
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

# შოთა ნადირაშვილმა განწყობის თეორია რიხიდან გააოცვანა

გამონათკა შოთამ, მიუხედავად უზნაძისეული რამდენიმე ძირეული დებულების გადასინჯვისა, მოახერხა განწყობის თეორიის მთავარი სულისკვეთების დაცვა, განვითარება და ახალ სიმაღლეზე აყვანა – ფსიქოლოგიაში მთლიანი სუბიექტისა და აგრეთვე პიროვნების შენარჩუნება.

მსოფლიო ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ღრმა მეთოდოლოგიური ნაკლი დიმიტრი უზნაძემ გამოააშკარადა – ესაა „უშუალოების პოსტულატი“. ამიტომ განწყობის თეორიის მთავარი მეთოდოლოგიური ჩანამდღვარი „უშუალოების პოსტულატის“ უკუგდება გახდა. მას შემდეგ ერთი საუკუნეა გასული, მაგრამ მსოფლიო ფსიქოლოგიის ყველა მიმართულება, განწყობის თეორიის გარდა, კვლავ „უშუალოების პოსტულატის“ ტყვეობაშია (მეტწილად, ცხადია, გაუაზრებლად). ეს მცდარი დოგმატური ჩანამდღვარი ფსიქოლოგიის მრავალ გადაულახავ შეუსაბამობას უჩენს.

მსოფლიო ფსიქოლოგიის მეორე ღრმა მეთოდოლოგიური ნაკლი არის ინდივიდის (მათ შორის ცხოველის),

## (ფრაგმენტები გაოცვიდან)

ადამიანისა და კერძოდ პიროვნების ცნებათა აღრევა. ეს ტერმინოლოგიის დონეზე კი ჩანს: ტერმინები „ინდივიდი“, „სუბიექტი“ ანდა „პიროვნება“, როგორც წესი, სინონიმებად იხმარება. ცნობილი ავტორის სერიოზულ სამეცნიერო ნაშრომი ხშირად ისე მთავრდება, რომ გაუგებარია, ავტორი გულისხმობს თუ არა, მაგალითად, ცხოველის ფსიქიკას, ან ჩვილის ფსიქიკას.

ეს მეთოდოლოგიური ნაკლი უზნაძისეულ განწყობის თეორიაშიც უკრიტიკოდ დამკვიდრდა. საკმარისად ვარაუდარ იყო გამოიხატული ინდივიდის, სუბიექტისა და კერძოდ პიროვნების ქცევის ფორმები და მათ საფუძვლადმდებარე განწყობის თავისებურებანი.

შოთა ნადირაშვილმა განწყობის თეორიაში „პიროვნება შემოიყვანა“ (სწორედ პიროვნება – და არა მხოლოდ ადამიანი) და ააგო „ადამიანური“, ანუ „ანთროპული“ თეორია. ამით განწყობის თეორია ჰუმანისტურ ფსიქოლოგიას დაუკავშირდა. სხვათა შორის, განწყობის თეორიის საფუძვლები სიცოცხლის ფილოსოფიას ემყარება. დიმიტრი უზნაძის ადრეული ნაშრომები ა. ბერგსონისა და ფ. ლენარის მრავალ აზრს იყენებს. ჰუმანისტური ფსიქოლოგიაც სიცოცხლის ფილოსოფიას ემყარება. ამიტომ ჰუმანისტურ ფსიქოლოგიასთან დაახლოება განწყობის თეორიის განვითარების ბუნებრივი შედეგია. კომუნისტების ხანაში ეს შეუძლებელი იყო, რადგან მარქსიზმს სიცოცხლის ფილოსოფია ერთ-ერთ

ყველაზე „შავნელ რეაქციულ“ მიმდინარეობად მიაჩნდა. ქართულ კულტურაში პიროვნების ცნება მხატვრულ ლიტერატურაში, კერძოდ ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში გაჩნდა. ილიამ ხატოვანად გვიჩვენა, რომ ყველა ადამიანი არ არის „კაცი“ (ანუ პიროვნება); ვაჟამ კი „კაი ყმის“ (ანუ პიროვნების) კლასიკური სახეები შექმნა. ორივე მწერალმა პიროვნება საზოგადოებასთან დაპირისპირებაში წარმოაჩინა.

ინდივიდის, სუბიექტისა და პიროვნების საფუძვლადმდებარე ცნებები მკაფიოდაა გამიჯნული და დახასიათებული განწყობის ანთროპულ თეორიაში.

1. ცოცხალი ორგანიზმი – დაბალი, ბიოლოგიის დონის ცნება, უზოგადესი, მოიცავს უმარტოვესებსაც, მცენარეებსაც, ცხოველებსაც და ადამიანებსაც.


2. ინდივიდი – ფსიქოლოგიის დონის პირველი ცნება: ფსიქიკის ანუ სულის მქონე ცოცხალი ორგანიზმი, მოკლედ – სულიერი ანუ სულდგმული (იგულისხმება – ცოცხალ მდგომარეობაში).

3. სუბიექტი – ცნობიერების მქონე ინდივიდი, რომელსაც განცნობიერებული აქვს საკუთარი მეობა ანუ საკუთარი სუბიექტი, გამოყოფილად ობიექტისგან და ქცევისგან.

4. პიროვნება – შეგნების (ეთიკური, რელიგიური ან მსოფლმხედველობრივი) მცნება-პრინციპების, მრწამსის ან ცხოვრების მიზნის), პასუხისმგებლობისა და ნებელობის მქონე სუბიექტი, რომელიც თავის თავს თავისუფლად მიიჩნევს და, ზოგჯერ მაინც, საკუთარი შეგნების მიხედვით იქცევა (შესაძლოა, ეს იყოს უზნეო, მახინჯური შეგნება, მაგალითად, ლენინის, შიტლერის ან რელიგიური ფანატიკოსისა).



ამერიკის იმჟამინდელ პრეზიდენტ ბილ კლინტონთან ერთად თვრამეტამდე ადამიანი შემოსხდომოდა სუფრას. ეს საქმიანი შეხვედრა არ გახლდათ – ისინი ქართულ კერძებსა და ქართულ ღვინოს აგემოვნებდნენ. ვერ გეტყვით რაზე საუბრობდნენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ არა პოლიტიკაზე. გვერდით მაგიდიდან თანამემამულეებმა, თავიანთ პრეზიდენტს ერთი ბოთლი ღვინო გაუგზავნეს (ქართული წესითა და ადათით). პრეზიდენტი წამოდგა, მადლობის ნიშნად თავად ეწვია გვერდით სუფრასთან მსხდომთ, ყველას ხელი ჩამოართვა და მათთან სამახსოვრო ფოტოც გადაიღო. ეს მართლაც საოცრება იყო – ამერიკის პრეზიდენტი თავისი ქვეყნის უბრალო მოქალაქეებს რუსეთში მყოფრო რესტორანში გულითადად უხდის მადლობას ქართული ღვინით გამასპინძლებსათვის.



რესტორანი „ფიროსმანთან“

# ქართული სული მოსკოვის სენტრში



რესტორანი „რაინდო კლუბი“

სად შეიძლება მოხდეს ამგვარი საოცრება თუ არა გამოჩენილი ქართველი მეცენატისა და რუსეთში მოღვაწე წარმატებული ბიზნესმენის თორნიკე კოპალეიშვილის ქართულ რესტორანში, რომელსაც უბრალოდ „ფიროსმანთან“ (გინდაც „სტუმრად ფიროსმანთან“) უწვია. 1918 წელს გარდაცვალა ყველასაგან გარიყული, შემდგომში მსოფლიო აღიარების ქართველი მხატვარი ნიკალა ფიროსმანი. ერთადერთი შეხვედრაზე, რომელიც ქარველმა მხატვრებმა და კულტურის მოღვაწეებმა მას გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე მოუწვევეს, იმედჩასახულმა მხატვარმა ინატრა – ავაშენოთ ერთი სახლი, დავდგათ „სამოვარი“, ესვათ ჩაი და ვისაუბროთ ხელოვნებაზეო. გადის 70 წელი და მოსკოვის ცენტრში, ქართველი ნიკალას თანამემამულე ბატონი თორნიკე ხსნის თავის პირველ რესტორანს, რომლის შესასვლელშიც მაგიდას ნიკალას სკულპტურული ფიგურა მისჯდომია. ჩაფიქრებული შესცქერის თეთრმუშაბა გადაფარებულ მაგიდაზე დადებულ პალიტრასა და წითელბაფთაშებმულ ბატკანს. ახლა ნიკალა მასპინძლობს მთელ მსოფლიოს – სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტებს, კანცლერებს, მთავრობის მეთაურებს, ბიზნესმენებს, ელჩებს, თავის კოლეგებს, ხელოვნების, სპორტის კორიფეებს. სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს.

ყველაფერი კი, არცთუ შორეული, გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს დაიწყო, როდესაც არა მარტო ბიზ-

ნესზე, კერძო საკუთრებაზე ფიქრიც შეუძლებელი იყო. მოსკოვის ცენტრის შორიახლოს, მრავალსართულიანი სახლის პირველ სართულზე თორნიკე კოპალეიშვილი თავისი მეგობრის ანდრეი ფედოროვის ნაბაძვით ხსნის პატარა კოოპერატივს და არქმევს „ფიროსმანთან“. ფედოროვის კაფე „კოოპოტივის 36“-ს უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ. გაზეთები სენსაციურ წერილებს აქვეყნებდნენ პირველ „საბჭოთა კაპიტალისტზე“ და მის კაფეზე. თორნიკეს „ნიკალა“ თითქოს ჩრდილში იყო, მაგრამ, როგორც რუსები იტყვიან, ფედოროვის ბიზნესი „რელსებს ასცდა“ და მისი კაფე დაიხურა – ბანკმა იმსხვერპლა. თორნიკეს „ფიროსმანთან“ კი უცებ აღმოაჩინეს საბჭოეთის დედაქალაქში მცხოვრებმა უცხო ქვეყნების საელჩოს წარმომადგენლებმა. აქ მათ ქართული კერძები, სტუმართმოყვარე მასპინძლები, მუსიკა, გულუხვი და კეთილი მასპინძელი იზიდავდა. აქ იხდინდნენ დაბადების დღეებს, უბრალოდ მეგობრულ შეხვედრებს, ღირსშესანიშნავ თარიღებს. თითქმის ყველას პირზე ეკერა საქართველოს კუთხეების სამზარეულოს მენიუ. თორნიკემ გარისკა, როგორც ფრანგები იტყვიან – ვინც არ რისკავს, შამპანურსაც ვერა სვამსო. რესტორ-

ნის მოპირდაპირედ შესანიშნავი ხედი იშლება „ნოვოდვიჩივის მონასტერი“. თორნიკემ „ფიროსმანს“ მეორე რესტორანი, „რაინდო კლუბი“ მიუმატა და ახლა მასზე არა მარტო მთელი მოსკოვი, არამედ მთელი საბჭოეთიც ალაპარაკდა.

რესტორნის მფლობელი გულუხვად მასპინძლობდა იმ სახლის მცხოვრებლებს, რომლის პირველ სართულზეც მისი რესტორანი გაიხსნა. დაბადების დღეები, ქორწილები, შეხვედრები – მათთვის მუდამ ღია იყო რესტორნის კარი. ამიტომაც ყველამ შეიყვარა ქართველი ბიზნესმენი. „მარტოხელა

დედებისთვის“ უფასო მომსახურება და მათზე ზრუნვა, ომის ვეტერანები, მიუსაფარები არც ისინი დავიწყნია რესტორნის მფლობელს. ბევრი ამგვარ რესტორანში კი არა ჩვეულებრივ სასადილოშიც არ იყო ნამყოფი, თორნიკესთან კი შეიძლებოდა უფასოდ, მყუდრო და მშვიდ გარემოში ყოფნა, ქართული კერძების დაგემოვნება.

ყოველგვარი წარმატება ალღოზე და მოკიდებული, ბატონმა თორნიკემაც გათვალა თავისი რესტორნის ადგილმდებარეობა – ძველი მონასტერი, ქონგურები, მოლივილე ტბორი, ფანტასტიკური ხედი ვერანდიდან, საკმაოდ მოშორებული მოსკოვის საქმიან და ხმაურიან ცენტრს. აქ ირგვლივ რუსული სული ტრიალებს, შედისარ რესტორანში და ძველი თბილისი გზდება გულშია, ალალი, ეგზოტიკური, ყველა სათვის მონატრებული. საოცარი შერწყმა და... მართლაც ალღო და გამართლება.

რესტორნის სტუმრებს მენიუში ჩახედვაც არ სჭირდებათ, მათ ზევირად იციან ქართული სამზარეულოს საოცარი კერძები – ჩახოხბილი, საცივი, კუპატი, ელარჯი, ხაბიზგინები, მწვადი და ხინკალი, ღომი, კუბდარი და ღვთაებრივი ქართული ქვევრის ღვინო, რომელიც ბატონ თორნიკეს საქართველოდან ჩამოაქვს და რესტორნის სტუმრებს ქართული წესით ითხოვენ – „შენთვის რომ გაქვს, ის ღვინო გვინდაო“. რესტორნის ნებისმიერ სტუმარს აქვს შესაძლებლობა სამახსოვრო ფოტო გადაიღოს ბატონ თორნიკესთან და მომსახურე პერსონალთან, შთაბეჭდილებების წიგნი შეიტანოს თავისი ჩანაწერი. ფოტოები კი რესტორნის კედლებს ამშვენებს, ისევე როგორც ცნობილი მხატვრების მიერ შესრულებული დიდი ფიროსმანის ნახატების ასლები.


„გეპატიყვებით ჩემს სახლში, ჩემს რესტორან „ფიროსმანთან“ და „რაინდო კლუბში“, სადაც თქვენ შეძლებთ სტუმართმოყვარე საქართველოში მოხვედრას, დასვენებასა და დანაყრებას...“ ასეთი წამმღვარება აქვს ბატონ თორნიკე კოპალეიშვილის საოცარ რესტორნებზე და მის სტუმრებზე გამოცემულ ნიგნს, რომელიც რამდენიმე წლის წინათ შეადგინა და გამოსცა ბატონ თორნიკეს მეგობარმა, ჟურნალისტმა საერთაშორისო ფონდის „ოქროს კალმის“ ლაურეატმა, ამჟამად ამერიკაში მოღვაწე ჟურნალისტმა ვლადიმერ ვინამ. თავად ეს ნიგნი, რომელსაც საოცარ სამყაროში გადაჰყავხარ და ქართველი კაცის ნიჭზე, ქველმოქმედებასა და წარმატებულ ბიზნესზე გვესაუბრება, თორნიკე კოპალეიშვილმა საჩუქრად გადასცა თავის სიყვარულის მეგობარს, საქართველოს დამსახურებულ მხატვარს, ცნობილ კარიკატურისტს ამირან ერატეს, რომლის საშუალებითაც ჩვენს რედაქციას ჩაუვარდა ხელში სულ რამდენიმე დღით და ჩვენი გაზეთის მკითხველისთვისაც გამოეფინეთ სამშეოზე...

მარჯვენა გიკურთხოს, თორნიკე კოპალეიშვილო!

გამუკა ვაზაპიძე



კელდუბ კოლი „რაინდო კლუბში“



სინდი კროუფორდი ნიკალას „მეაზოვესთან“ და რესტორნის მასპინძელთან.



ბილ კლინტონი, თორნიკე კოპალეიშვილის რესტორანში.



რიჩარდ გირი.



მიქი ჯაბარი აღფრთოვანებულია სტუმარ-მასპინძლობით.



მასპინძელი ჯონ მებლოქს რესტორანში მ.იაშვილის ნამუშევარს ჩუქნის.

ბაზემი „საქართველოს რესპუბლიკის“ ან. 17 აგვისტოს ნომერში გავცანი აშშ-ის „ჯეიმსთაუნის ფონდის“ (Jamestown Foundation) ანალიტიკოსის, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის ვასილ რუსხაძის ინტერვიუს, სათაურით: „ერი, რომელიც საკუთარი არსებობისა და უსაფრთხოების სტრატეგიას სხვა ქვეყნების დახმარებაზე ამყარებს, უსათუოდ დაიღუბება“. ინტერვიუ საინტერესოა და ამასთანავე ყურადსაღებია, განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით, რაც სათაურშია გამოტანილი.

დაიხს! საქართველოს „დამოუკიდებლად“ არსებობის 25 წლის მანძილზე არ გამოჩნდა არც ერთი ლიდერი, პარტია, ხელისუფლება, რომელიც გაათარებდა პრაგმატულ, ბალანსირებულ პოლიტიკას და ხალხს საკუთარი ძალებით, შესაძლებლობებითა და, რაც მთავარია, გონივრული პოლიტიკური კურსით, ხელდაკაპინებული შრომისკენ მოუწოდებდა.

საბჭოთა პერიოდისთვის დამახასიათებელი „ცენტრზე“ დაყრდნობის შეგრძნება იმდენად მყარად და ღრმად იყო გამჯდარი თითოეულ ქართველში, რომ დამოუკიდებელი საქართველოს დედაქალაქს თვალს ვერ აშორებდნენ. უფრო მეტიც, საქართველოს სამინისტროები, მათ შორის შსს 1994-96 წლებში ისეთი სახის წერილებს უგზავნიდნენ რუსეთის შესაბამის სამინისტროებს, როგორცაა საბჭოთა კავშირის დროს. წერილებში აღნიშნული საკითხები მხოლოდ საქართველოს ეხებოდა, აქ უნდა გადაწყვეტილიყო და არა იქ. „ზემოდან“ ჭკუისდარიგებას და ინსტრუქტაჟს მიჩვეულებს, უჭირდათ ქვეყნის საშინაო საკითხების გადაჭრაც კი.

ვიდრე ქართული პოლიტიკური ელიტა ბნელ ოთახში კაბის ძებნით იყო დაკავებული, „წმინდა ადგილი უყურადღებოდ არ დარჩება“ პრინციპიდან გამომდინარე, დიდი „მეგობარი“ და „მხსენილი“ გამოჩნდა, რომელმაც ყველაფერი იღონა უკომპასოდ დარჩენილი, უპატრონოდ მიტოვებული ქვეყნის „გადასარჩენად“. ქართულ პოლიტიკურ ელიტასაც რაღა დააკავებდა – „დაობლებული“, კისერზე ჩამოეკიდა ახალ „მამას“, აქაოდა, მშობელი ვიშოვეო, ქვეყნის საშინაო თუ საგარეო საკითხები ხელში მიაჩნა. მისთვის მთავარი იყო თბილი სავარძელი, გარანტირებული ყოფა, საკუთარი თავისა და ოჯახის ბედნიერება.

„თქვენ ოღონდ ის აკეთეთ, რასაც გიბრძანებთ, ჩვენს ინსტრუქციებს დაუჯერეთ და პირად კეთილდღეობაზე უარს როგორ გეტყვიოთ“, – იყო პასუხი ოკეანის გადაღმიდან.

იმ დღიდან მოყოლებული, ათასობით ახალგაზრდამ გაიარა ტრენინგი აშშ-ში. იყო მოკლე სწავლების კურსებიც ცნობილ უმაღლეს სასწავლებლებშიც. და გაჩნდა საქართველოს სხვადასხვა დაწესებულების კედლებზე ამერიკული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა დიპლომები, მათთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვადასხვა სახის ფონდები.

ასე გახურდა ამერიკულ-ქართული ხორცი. ამერიკაში კურსდამთავრებულმა გოგობიჭებმა მეორე სამშობლოდ (ხშირად პირველად) ამერიკა ჩათვალეს და „პირველ სამშობლოში“ დაბრუნებულებმა ინგლისური ენა დედაენად გამოაცხადეს. ასე და ამრიგად ქვეყანა გახდა „ამერიკული ცხოვრების“ თავდავინებული მიმდევარი.

„თქვენ ოღონდ უზრუნველი ცხოვრება გვიბოძეთ და რუსეთის, წარსული ისტორიის ლანძღვა-გინება ჩვენზე იყოსო“, შეჰფიცეს ახალ ბატონს „ოკეანედალეთლმა“ ახალმა ქართველობამ. იმ დღიდან დაწყებული ასე არიან, მწვანე ბალახზე მიშვებული ნახირივით. ამერიკულს ნაზი არებებმა ხელისუფლებაც ხელთ იგდეს, არასამთავრობო სექტორიც, ყველა სიკეთეც და ამაყად გადახედეს პროცენტულად გაცილებით მეტ თანამემამულეს, მშვიდ და მწყურვალს, ზემომოყვანილი სიკეთეებისგან გაცილებით შორს მდგომს.

მედიაში საკუთარი თუ ოკეანისგაღმელის აზრის გამოხატვის შესაძლებლობით აღჭურვილი, „ოკეანედალეთლი“ ელვის სისწრაფით ახდენს საზოგადოების ფართო ფენებზე ზენოლას, რითაც ახერხებს კიდევაც (ნაწილობრივ მაინც) ხალხის მსოფლმხედველობის შეცვლას, თუმცა ვერც ისე, როგორც ისურვებდნენ. ხალხის ტვინებზე ზენოლის პროცესში აქტიურად არიან ჩართული ამერიკული ინსტიტუტები, ფონდები, გაურკვეველი თუ გარკვეული ორგანიზაციები. მათგან ერთ-ერთი

სწორედ „ჯეიმსთაუნია“. მის სახელს უკავშირდება არცთუ დიდი ხნის წინანდელი სკანდალური ამბავი – საქართველოს პარლამენტის მიერ ჩერქეზთა გენოციდის აღიარება, რამაც თვით ჩერქეზებშიც კი არაერთგვაროვანი შეგრძნება გამოიწვია.

25 „დამოუკიდებელი“ წლის განმავლობაში ჩვენ შესანიშნავად შევისწავლეთ სხვისი (გადამთიელის) აზრისთვის პრიორიტეტის მინიჭების, საკუთრის უკანა პლანზე გადაწევის ტექნიკა. ამ საქმეში დიდი წვლილი ოკეანისგაღმელებმა შეიტანეს და არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ თანამედროვე ქართველი ესოდენ უინიციატოვო, ფაქტობრივად ინდიფერენტულია ყველაფერ იმისადმი, რასაც სახელმწიფოებრივი ჰქვია, მაგრამ ზომამეტიად აქტიური პირადი კეთილდღეობის საკითხებში.



# ნეიტრალიტეტი თუ სხვის დაკრულზე სეკვა?

**ქართველი ექსპერტები ხშირად გაიძახიან – ნეიტრალიტეტის საკითხს მემობლებთან შეთანხმება სჭირდებაო, რასაც უდავოდ ვიბიარებ, მაგრამ თუ ნეიტრალიტეტს შეთანხმება სჭირდება, სამხედრო ბლოკში, მითუმეტეს ნაგოში შესვლას შეთანხმება არ სჭირდება?**

ქართული პოლიტიკური ელიტის და მისი ჭკუის დამრიგებლისთვის უმნიშვნელო წინააღმდეგობაც კი მიუღებელია და ავტომატურად ინვესტს განსხვავებული აზრისთვის გზის გადაკეტვას, მედიური სივრცის ჩახშობას, იგნორირებას. ასეთ მოსაზრებებს ეკუთვნის ნეიტრალიტეტი, უბლოკო (სამხედრო) არსებობა, მიუშრობლობა. საკამარისია, რომელიმე არაელიტურმა პარტიამ, ორგანიზაციამ, პირმა გააუღეროს ამ თემების საქართველოსთვის მორგების თაობაზე, უმაღლესი ავანსდებაც ხელისუფლება-ოპოზიციას, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ისეთ ხანძარს აჩენენ, თითქოს მავანის ნათქვამი კანონი იყოს.

ნეიტრალიტეტისადმი აგრესიული დამოკიდებულება გასაკვირი რომ არ უნდა იყოს, ცხადზე უცხადესია, ვინაიდან წინააღმდეგობაში მოხდა ვაშინგტონელი პოლიტიკოსების შორსმომავალ გეგმებთან. და არა მარტო მათთან, არამედ მათი ქართველი მოწაფეების გულის ნადებთან. ორივეს ამორჩეული აქვს საქართველოს ხვალისდელი დღე ნატოს და ევროკავშირის სახით და ამ დროს ნეიტრალიტეტი? მიუღებელია!

„ევროატლანტიკური კურსი ქართველმა ხალხმა გადაწყვიტაო“, ხმამაღლა გაჰყვირიან ისინი და მაგალითად 2008 წლის რეფერენდუმი მოჰყავთ.

ნეიტრალური საქართველოს ხსენებაც კი გაღიზიანებას იწვევს ქართულ-ამერიკულ პოლიტიკაში და რახან ასეა, საჭიროა მისი დაბლოკვა, საშინელებად გამოცხადება. „დღეისთვის საქართველოს ნეიტრალიტეტის საკითხის ინიცირება უკეთეს შემთხვევაში – პოლიტიკური გაუნათლებლობის, უარეს შემთხვევაში კი – პირდაპირი პოლიტიკური საბოტაჟის ნიშანია“, – აცხადებს პატივცემული ვასილ რუსხაძე და მოჰყავს მაგალითები თანამედროვე

მსოფლიოს ისტორიიდან – ფინეთი, შვეიცარია.

ზემოთ მოყვანილი „ნეიტრალიტეტის“ თემა ბურჯანაძის ინიციატივამ გამოიწვია ქვეყნის „უბლოკო სტატუსთან“ დაკავშირებით რეფერენდუმის ჩასატარებლად. თქმა და პასუხი ერთი იყო პარლამენტის თავმჯდომარე უსუფაშვილისგან. „მაშინ კონსტიტუციის პრეამბულაში შევიტანოთ საქართველოს ევროატლანტიკური კურსის თაობაზეო“, – ბრძანა მან. და აიყოლია ხელისუფლებაში მყოფი „ნაცქოცები“, არასამთავრობო ექსპერტები, მედია და ა.შ.

ანტიბურჯანაძისეული პოლიტიკის დასაფიქსირებლად მიმართული რუსხაძის ინტერვიუც, სადაც ის გვიმტკიცებს, რომ საქართველოსთვის ნეიტრალიტეტი შეუძლებელია. ისე, კაცმა რომ თქვას, ბურჯანაძე უბლოკო სტატუსს მოითხოვს და არა ნეიტრალიტეტს. მათ შორის არის განსხვავება, არცთუ დიდი, მაგრამ მაინც.

ნეიტრალური ქვეყნების ჩამონათვალში თურქმენეთიც არის, რომელმაც რუსეთის მხარდაჭერით შეძლო გაეროში შესაბამისი პროცედურების გავლა და ნე-

არ იქნება მემობელი ქვეყნებისთვის? და რომ ეს ასეა, საქართველოში რუსეთის ბოლო ელჩმა კოვალენკომაც დაადასტურა, როდესაც განაცხადა, რუსეთისთვის მისაღება საქართველოს ნეიტრალიტეტი და თუ საქართველო სერიოზულად მოეკიდება ამ საკითხს, რუსეთი თავდებად დაუდგება მას გაეროში მთელი რიგი საპროცედურო საკითხების მოსაგვარებლად.

ამ წინადადებას საქართველოს ხელი-სუფლებამ უარი სტკიცა – ერთი წლით ადრე ცხინვალის ომის დაწყებამდე. გაცილებით ადრე, 2001 წლის მარტში სახელმწიფო კანცელარიის საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის განყოფილების პასუხისმგებელი მუშაკის გულბათ რეხილასისა და თქვენი მონამორჩილის ინიციატივით, აჭარის მეთაურის ასლან აბაშიძის ხელშეწყობით ბათუმში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „ნეიტრალიტეტი თუ სამხედრო ბლოკში განეწვევა“?

აქვე გაუნეწებთ, რომ კონფერენციის გამართვა სახელმწიფო კანცელარიის სურვილი არ ყოფილა – გულბათ რეხილასის პირადი ძალისხმევა იყო. ორდღიან კონფერენციაში მონაწილეობდნენ ავსტრიელი, გერმანელი, ფინელი, შვეიცარიელი პროფესორები და ექსპერტები, უცხოელი ურთიერთობების, ნატოს შტაბბინაში მომუშავე სპეციალისტები – მათი რეკომენდაცია საქართველოს მიმართ იყო მარტივი, პრაგმატული და გონივრული – ნეიტრალიტეტი!

საქართველოს ხელისუფლებამ თვალი დახუჭა ბათუმის კონფერენციაზე და მის შედეგებზე, რაც არ გაიზიარა ებერტის ფონდმა, რომელმაც ნიგინც გამოსცა აღნიშნულთან დაკავშირებით.

ბატონ რუსხაძეს, ვითარების გამაფრების მიზნით, ფინეთის მაგალითი მოჰყავს: „ფინეთმა ნეიტრალიტეტი საბჭოთა კავშირთან 1939 წლიდან უმძიმესი ომის შედეგად მოიპოვა, რომელშიც ათეულათასობით ფინელი დაიღუპა. საბჭოთა კავშირი ფინეთის ნეიტრალიტეტს მხოლოდ მას შემდეგ დათანხმდა, რაც ფინელმა ხალხმა საბჭოთა იმპერიას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია და საბჭოთა რეჟიმი დარწმუნდა, რომ ფინეთის მთლიანად დაპყრობა მხოლოდ უდიდესი დანაკარგის ფასად მიიღწეოდა“.

სტალინმა ფინეთს, რომლის საზღვარი ლამის ლენინგრადთან გადაიოდა, შესთავაზა, ტერიტორიული გაცვლა, ანუ ფინეთის მოსაზღვრე ტერიტორიის გაცვლა საბჭოთა ტერიტორიაზე, თანაც მეტზე, რაზეც ფინეთი არ დათანხმდა. მას სხვა გეგმები ჰქონდა, როგორც ფაშისტური გერმანიის მოკავშირეს.

ფაშისტური გერმანიის და მანერგეიმის ფინეთის დამარცხებას ფინეთ-სსრკ-ის საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება მოჰყვა. ფინეთის ახალმა გონიერმა ხელისუფლებამ ნეიტრალიტეტის გზა აირჩია, რაც სრულიად მისაღები იყო სტალინისთვის. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ომში გამარჯვებული საბჭოეთისთვის ფინეთის წინააღმდეგობა ვითომ ასეთი დაუძლეველი იქნებოდა?!

ბურჯანაძემ დასვა უბლოკო საქართველოსთვის რეფერენდუმის ჩატარების წინადადება. რა არის ამაში ცუდი? ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა გავრკვეთ – რა გვინდა? საით მივდივართ?

ერთი რამ უდავოა, – ნებისმიერი ხერხით მოპოვებული ნეიტრალიტეტი ყოველთვის აჯობებს სხვის დაკრულზე ცეკვას.

**კამელტ ჭიკაშვილი,**  
პოლილოგი.

## რისთვის ემზადებიან რუსები?

ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთში მდებარე რუსული სამხედრო ბაზა სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანილი. ამის შესახებ ნათქვამია რუსეთის სამხრეთის სამხედრო ოლქის პრესსამსახურის განცხადებაში. რუსული ბაზა ვლადიმირ პუტინის მიერ გამოცხადებულ მოულოდნელ შემოსევაში მონაწილეობს.

„სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში დისლოცირებული სამხრეთის სამხედრო ოლქის სამხედრო ბაზის ქვედანაყოფები მოულოდნელი შემოსევის ფარგლებში უმაღლესი დონის საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებიან და მუდმივი დისლოკაციის პუნქტიდან მალაღმთიან პოლიგონ „ქარნეზზე“ გადაინაცვლებს“, – ნათქვამია რუსეთის სამხრეთის სამხედრო ოლქის პრეს-სამსახურის განცხადებაში.



კალათბურთი

ჩვენ, ზუროსი სიურპრიზს აქვს?

ევროპასკაპიტის შესარჩევ ეტაპს 31 აგვისტოს ალბანეთთან საშინაო მატჩით ვიწყებთ...



მარკოი შვილის, შენგელიასა და დიქსონის ტრავმებს რომ თავი დავანებოთ...

ამჯერად ილიას ზუროსის შეგირდებმა პოლონეთში დასრულებული ოთხთა ტურნირის მესამე ადგილისთვის მასპინძლებთან გამართული თამაში წააგეს...

ფინალი. ბელგია - შვედეთი 56:55. ვიტალი ჯაფარიძე

ფეხბურთი

არ აკუთვნის, თუ?!

მას შემდეგ, რაც კრიტიკა რონალდუმ მადრიდის „რეალს“ ჩემპიონთა ლიგაში უღიფთღა...

მართლაც, ახლახან ტყის ხანძრებით იავარქმინილი კუნძულ მადეირას მკვიდრმა 40 ხმა მოაგროვა...



მფლობელ ფრანგ ანტუან გრიზმანსა (8 ხმა) და უელსელ თანაკლუბელ გარეთ ბილს (7 ხმა).

უპრეტენდენტოდ განეთარდა მოვლენები ქალთა გამოკითხვაში, სადაც 10 ჩრეულიდან 7 ჩემპიონთა ლიგის წლებანდელ ტრიუმფატორ „ლიონს“ წარმოადგენდა.

ბუნებრივია, მონაკოში გამართული გალა-წარმოდგენის ორგანიზატორებს არც გენიალური ლეო მესი და ვინყნიათ და, მართალია, ტრავმებითა და სასამართლო გარჩევებით გატანჯული არგენტინელი მთავარი ჯილდოსათვის მებრძოლთა შორის ვერ მოხვდა, მაგრამ პრესტიჟული ინდივიდუალური პრიზი მაინც დაიმსახურა.

ესაა სეზონის საუკეთესო გოლისათვის მოპოვებული თასი, რომელიც მან ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში „რომას“ გაუტანა.

ახლა კი იქვე მონყოლილი დამდეგი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის კენჭისყრის შედეგებს გავცნობთ. „ა“ ჯგუფი. „პსჟ“, „არსენალი“, „ბაზელი“, „ლუდოგორცი“.



„ბ“ ჯგუფი. „ბენფიკა“, „ნაპოლი“, „დინამო“ (კ), „ბეშიქთაში“.

„გ“ ჯგუფი. „ბარსელონა“, „სიტი“, „გლადბახი“, „სელტიკი“.

„დ“ ჯგუფი. „ბაიერნი“, „ატლეტიკო“, „სევილია“, „ლიონი“, „დინამო“ (ზ).

დავძენთ, რომ სასტარტო მატჩები 13 და 14 სექტემბერს გაიმართება.

ევროპის ლიგა. საბასუხო საკვალიფიკაციო შეხვედრა. პაოკ - „დინამო“ (თბილისი) 2:0 (3:0). გიორგი შოთაძე

დოკინგ-ტესტი

სასურაო „სმოკინგი“ „ელექტრო-დოკინგი“, ჰიპნოზი და სხვა

რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიური თამაშები უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა, მაგრამ გამარჯვებების სიხარულთან და დამარცხებების სიმწარესთან ერთად სპორტსმენებსაც, მათ დამრიგებლებსაც, უბრალოდ სპორტის უამრავი სახეობის ქომაგებსაც მრავალი პასუხგაუცემელი კითხვა წარმოეშვა.

საქმე ისაა, რომ სპორტის არაერთ სახეობაში მოასპარეზებები თავიანთ შესაძლებლობათა მაქსიმუმებს თითქმის მიუახლოვდნენ. ამდენად, რა გასაკვირია, თუ ხალხი კითხვას სვამს: მერე რაღა იქნება? რის ხარჯზე შეიძლება უკვე მიღწეული შედეგების გაუმჯობესება, ახალი რეკორდების დამყარება? ამ კითხვებზე პასუხების მისაღებად სპორტსმენებიც, ფედერაციების მესვეურებიც, მწვრთნელებიც ხშირად მეცნიერებს აკითხავენ, რომლებსაც, როგორც ირკვევა, ბევრი რამის შეთავაზება შეუძლიათ.

მრავალი წლის მანძილზე მოცურავე სპორტსმენები ჩვეულებრივი საბანაო კოსტიუმებით და ტრუსებით გამოდიოდნენ, 2008 წლის ლონდონის ოლიმპიადამ კი ყველანი ერთიანად „ლაზერ რეისერებში“ „გამოეწყვენ“. უნდა ითქვას, რომ ეს საცურაო კოსტიუმები მაღალი ტექნოლოგიების ქვეშეშედილი სასწაულია: ისინი სპეციალური წყლის უკუმდეები ქსოვილიდანაა დამზადებული, რომელიც ზღვის ქუქუმწოვართა კანის იმიტირებას ახდენს და ტანზე ჩამოსხმული იქნება. ეს კოსტიუმები ლაზერული შედეგების ტექნოლოგიის გამოყენებითაა დამზადებული, ამიტომაც არც ერთი ნაკერი არა აქვთ, სამაგიეროდ მდგომარეობის სტაბილიზატორებითაა აღჭურვილი. ამ კოსტიუმებს ნასა-ს აეროდინამიურ მილში კომპიუტერული მოდელირების სპეციალისტები ცდიდნენ. სწორედ მათი მცდელობის შედეგია, რომ მოცურავის სხეულს წყალი იდეალურად უვლის, კუნთებს კი უფრო მეტი ჟანგბადი მიეწოდება.

პეკინის ოლიმპიადამ 25-დან 23 დამხობილი მსოფლიო რეკორდი სწორედ „ლაზერ რეისერის“ საცურაო კოსტიუმებში ჩაქმულ სპორტსმენებს ეკუთვნის. ბუნებრივია, რომ ეს „საცურაო სმოკინგი“ მსოფლიო სპორტის ლეგენდას, 23-გზის ოლიმპიურ ჩემპიონს მაიკლ ფელქსსაც ეცვა, რომლისთვისაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ექვსი სამეცნიერო ცენტრი მუშაობდა (!).

ახლა უკვე ყველას კარგად ესმის, რომ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დაუმარებლად თანამედროვე სპორტში მაღალი შედეგების მიღწევა შეუძლებელია. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში საგანგებო სააგენტოც კი შექმნეს, რომელიც სპორტში მეცნიერულ კვლევებს აწარმოებს, ვერძოდ, ვარჯიშების პროცესში „გონიერ“ აღმრიცხველებსა და კომპიუტერულ პროგრამებს ნერგავს, რამაც ლონდონის ოლიმპიადამ უკვე შედეგად შედეგად მოუტანა. თუმცა, ისიც კია, რომ ახალი მასალები, ეკვიპირება, კომპიუტერული პროგრამები და ელექტრონული აღმრიცხველები, თავისთავად, კარგია, მაგრამ შედეგს მაინც სპორტსმენი იძლევა. აქ კი წინა პლანზე უკვე ფსიქოლოგები და ნეიროფიზიოლოგები გამოდიან.



ცოტა ხნის წინათ ავტორიტეტულ სამეცნიერო ჟურნალ „Nature“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში ლაპარაკია იმის შესახებ, როგორ მოქმედებს ელექტრობით თავის ტვინის სტიმულირება სპორტში შედეგის მიღწევაში. კერძოდ, ერთ-ერთი კალიფორნიული კომპანია თავის ტვინის ელექტროსტიმულაციას აწარმოებს, რომელთა დანიშნულებაა დეპრესიებისა და სხვა სახეობის ფსიქიკურ აშლილობათა მკურნელობა, თავის ტვინის გარკვეულ უბნებზე სმოკინგი და ელექტრომაგნიტური იმპულსების მემოვირახებით ზემოქმედებით, რის შედეგად მათულობის მოძრაობის ნეირონების აღმგზნებადობა. ისინი კი, თავის მხრივ, სხვადასხვა კუნთებს ჩვეულებრივ ძლიერ იმპულსებს გადასცემენ. შედეგად, სპორტსმენებმა (მათ შორის იყვნენ ზამთრის ოლიმპიადების მონაწილე თხილამურებით ტრამპლიდან მსტომელები), რომლებსაც ორი კვირის მანძილზე ელექტროსტიმულაცია უტარდებოდათ, ტრანსპლინიდან ასტომის ძალის 70 პროცენტით და საკუთარი კოორდინაცი-



ის 80 პროცენტით გაუმჯობესება შეძლეს (!).

ამდენად ელექტროსტიმულაცია თითქოს დამატებითი ენერჯით მუხტავს თავის ტვინსა და კუნთებს, თანაც მას ვერანაირი დოპინგ-კონტროლი ვერ გამოავლენს!

ყველაზე საინტერესო კი მაინც ის არის, რომ ამავ კალიფორნიულმა კომპანიამ აღიარა, რომ მისი სპეციალისტები სამ ამერიკელ მძლეოსანთან მუშაობდნენ, რომლებიც მისი მონაცემების გამოყენებით... რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადამ მონაწილეობისთვის ემზადებოდნენ. ერთი სიტყვით, დადგინდა, რომ ნეიროსტიმულაციის გამოყენებული ათლეტები, სხვებთან შედარებით, ორჯერ უკეთეს შედეგებს აჩვენებენ.

დიდ ბრიტანეთში ჩატარებული მეორე ექსპერიმენტის შედეგად კი დადგინდა, რომ თავის ტვინის ქერქის გარკვეული უბნების ნერტილოვანი სტიმულირება სპორტსმენს დადებითად აისახავს უფრო ნაკლებად მგრძობიარეს ხდის.

როგორც ჩანს, მეცნიერება წინ თავის ტვინის ქერქის სტიმულირების გამოყენების მხრივ ინდივიდუალური რეკომენდაციების გაცემის მიმართულებით მიიწევეს, - აცხადებს ამერიკელი ნეიროფიზიოლოგი დილან ედვარდსი. - საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი შემოფოთებული უნდა იყოს, ვინაიდან „თაპის ტვინის დოკინგის“ გამოვლენის არანაირი ხერხი არ არსებობს.

თუმცა, ისიცაა, რომ ადამიანის შიდა რეზერვების სამობილიზაციოდ ზოგჯერ უბრალო პიპნოზიც საკმარისია, რომელსაც ხშირად იყენებენ შეჯიბრების წინ გოლფის მოთამაშეები, ნიჩბოსნები, მოკრივეები.

ასევე ცნობილია, რომ ისეთი საფეხბურთო სუპერკლუბები, რო-

გორებიცაა „ჩელსი“, „ბარსელონა“, „ბაიერნი“, სხვები, თავიანთ მოთამაშეებს არა მარტო ფიზიკური ვარჯიშებით, არამედ ტვინის საგარჯიშო ლოგიკური ამოცანებითაც ტვირთავენ. ეს ფეხბურთელებს მოედინისა და პარტნიორის უკეთ ხედვის, უფრო ზუსტი პასის გაკეთებისა და კარში მეტი სიზუსტით დარტყმის შესაძლებლობას აძლევს.

ესაა ერთ-ერთი ყველაზე გასაოცარი რამ, რომელიც მუშაობის პროცესში აღმოვაჩინე, - განაცხადა გერმანელმა საფეხბურთო მწვრთნელმა იურგენ კლოპმა. - მოთამაშეთა სისწრაფე და რეაქციის სიძველურე ლამის მყისიერად უმჯობესდება.

და კიდევ ერთი: სპორტსმენებს აფრთხილებენ, რომ გაჯეტების ზედმეტად მოხმარებას თავი მოარიდონ - მათი გამუდმებით გამოყენება ყურადღებასა და რეაქციას აქვეითებს, თანაც ადამიანს, პერიფერიულის საპირწონედ, ეგრეთ წოდებული „გვირაბული მხედველობა“ უყალიბდება, რაც გუნდურ თამაშზე ცუდად აისახება.

მოამზადა დალი სუნდაძემ

საუფლო დღესასწაული

მიძინება  
ყოვლადწმინდისა  
ღვთისმშობლისა

28 აპრილის საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მარიამობას, რომელიც ერთი თორმეტთაგანი საუფლო დღესასწაულია, რომელზედაც მოვისხენიებთ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიცვალებას.

საეკლესიო გადმოცემით, მთავარანგელოზმა გაბრიელმა ახარა მარად ქალწულ მარიამს მისი ამქვეყნიური ცხოვრების დასასრულის - მიძინების (მიცვალების) ჟამი.

ცნობილია, რომ წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახლში, სადაც ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ ცხოვრობდა დედა ღვთისმშობელი, მან გამოსამშვიდობებლად მოუწოდა მაცხოვრის მონაფეხებს - მოციქულებს, რომლებიც იმ დროს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იმყოფებოდნენ საქადაგებლად. ყველა მოციქული სასწაულებრივად გამოცხადდა ღვთისმშობელთან, ღვთის განგებით არ მოსულა მხოლოდ თომა მოციქული. დანარჩენმა მოციქულებმა იხილეს ნეტარი მიძინება მარად ქალწულისა: ქრისტემ ანგელოზებთან ერთად ზეცად აიტაცა მისი სული.

მოციქულებმა გეთსამანიის ბაღში დაასვენეს ღვთისმშობლის სხეული (იქვე იყვნენ დარქალუღნი ღვთისმშობლის მშობლები და მართალი იოსები).



მესამე დღეს იერუსალიმში ჩამოვიდა თომა მოციქულიც. მან მოინდომა თავყვანი ეცა ღვთისმშობლისათვის, რადგან ვერ დაესწრო მის მიძინებას. როდესაც აკლდამა გახსნეს, ნახეს, რომ იქ მხოლოდ სამოსელი დარჩენილიყო, დედა ღვთისა ზეცად აღუმაღლებია თავის ძეს. იმავე საღამოს, მოციქულები ტრაპეზად რომ დასხნენ, ღვთისმშობელი გამოეცხადათ მათ და უთხრა: „გისაროდენ, მე თქვენთან ვარ მარად“. გახარებულმა მოციქულებმა აღამაღლეს ღვთისმშობლის სეფისკვერის ნაწილი და წარმოთქვეს: „ყოვლადწმინდაო ღვთისმშობელო, გვაცხოვნენ ჩვენ“. ამით დაედო საფუძველი პანაგის წესს - ღვთისმშობლის ნაწილის ამალეებას, რომელიც დღემდე შემორჩენილია მონასტრებში.

მიძინების დღესასწაულის წარგზავნა მეცხრე დღეს ხდება...

გიული ლიპარტია

სანთელი

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულაია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახარაძე, თამაზ ყაჭყაიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე დიდი მწუხარებით იუნჯებიან, რომ გარდაიცვალა ქართველი გენერალ-ტეტის ბრწყინვალე პლეადის გამოჩენილი წარმომადგენელი, ქვეყნის თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი და უკეთილშობილესი პიროვნება, ბატონი

თამაზ დუმბაძე

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და მის ახლობლებს.

ახალი სახანძრო-სამაშველო ცენტრი ახალციხეში

შინაბან საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ მალაჩიანი შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორ ზვიად ქანაშვილთან ერთად ახალციხეში სამცხე-ჯავახეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს ახალციხის განახლებული შენობა გახსნა.



შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორ ზვიად ქანაშვილთან ერთად ახალციხეში სამცხე-ჯავახეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს ახალციხის განახლებული შენობა გახსნა.

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორ ზვიად ქანაშვილთან ერთად ახალციხეში სამცხე-ჯავახეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს ახალციხის განახლებული შენობა გახსნა.

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორ ზვიად ქანაშვილთან ერთად ახალციხეში სამცხე-ჯავახეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს ახალციხის განახლებული შენობა გახსნა.

რუსული ბიზნესცენტრები და სპარტოველი

რუსი ბიზნესტურისტებისათვის საქართველოს საუკეთესო მიმართულებების „TOP-5“-შია. როგორც გამოცემა „ყაზინფორმი“ წერს, რუსი ბიზნესტურისტებისათვის ნომერ პირველი მიმართულება ყაზახეთია. შემდეგ მოდის უკრაინა და უზბეკეთი. ზეღარუსი უკვე მესამე წელია, მეოთხე პოზიციაზეა. ხოლო რაც შეეხება მესამე ადგილს, მას ამჯერად საქართველო იკავებს.

რეიტინგიც და დასკვნაც საქმიანი ტურიზმის კლუბის „აეროკლუბის“ ექსპერტებს ეკუთვნის.

მათი განმარტებით ბოლო პერიოდში ფარმაცევტული კომპანიების მიერ მეზობელ ქვეყნებზე მოთხოვნა გაორმაგდა, რამაც უზრუნველყო სტაბილურ ფრენებზე მოთხოვნა ყაზახეთის, საქართველოს და სომხეთის მიმართულებით.

პანორამა

ერთი კათხა ლუდი ვახუშტად - ცოცხალი, ნატურალური!



ბთბაზუმბო ლუდის საოცარ თვისებებს, რომლებიც ნამდვილად იმსახურებს თქვენს ყურადღებას.

და მაინც, რით არის ლუდი სასარგებლო? აძლიერებს ძვლოვანი ქსოვილის სიმკვრივეს კვლევებმა აჩვენა, რომ ლუდი შეიცავს სილიციუმს, რომელიც კუნთოვანი და ძვლის ქსოვილების შეერთებას უწყობს ხელს, აძლიერებს რა ამავედროულად ამ უკანასკნელის სიმკვრივეს. ხოლო მუქი ლუდის მიღება, რომელიც ყველაზე მეტად შეიცავს სილიციუმს, ოსთეოპოროზის აღკვეთას ეხმარება.

ამცირებს ქოლესტერინის დონას ლუდის მიღება მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების რაოდენობის ზრდას უწყობს ხელს, რომელთაც სხვანაირად „კარგ ქოლესტერინსაც“ უწოდებენ. მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების დიდი ოდენობით კონცენტრაცია ათეროსკლეროზის რისკს ამცირებს.

ამცირებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკს კვლევებმა აჩვენა კავშირი გულ-სისხლძარღვთა დაავადებებსა და ლუდის მიღებას შორის: ერთი კათხა სვიის შემცველი ამ სასმელის მოყვარულებს 30%-ით უმცირდება მსგავსი დაავადებების რისკი.

ამცირებს დიაბეტის განვითარების რისკს მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ის პირები, ვინც დღეში 0,3 ლ ლუდს სვამდნენ, ნაკლებად მიდრეკილნი არიან 2 ტიპის შაქრის დიაბეტის მიმართ.

ხელს უშლის კენჭების წარმოქმნას თირკმლებში დღეში ერთი ბოთლი ლუდის დალევა თქვენ 40%-ით ამცირებს თირკმლებში კენჭის განვითარების რისკს. ნამდვილად საკმარისი მიზეზია დასაფიქრებლად.

ლუდს შეუძლია დახმარება სიმსივნისთან ბრძოლაში გერმანელმა მეცნიერებმა სვიაში ქსანთოგუმოლის მალაქი შემცველობა აღმოაჩინეს. ეს ნივთიერება ალკვითს ქიმიური კანცეროგენების აქტივაციას, რომლებიც სიმსივნის წარმოქმნის რისკს ზრდიან.

იცავს გონებასუსტობისგან ქსანთოგუმოლი ასევე წარმოადგენს ძლიერ ანტი-ოქსიდანტს, რომელიც გონებასუსტობის განვითარებას უშლის ხელს. ამგვარად, ლუდის ზომიერი მიღება ჩვენს ტვინს კარგი ფორმის შენარჩუნებაში ეხმარება.

ყურადღება მიაქციეთ, რომ სასარგებლოა მხოლოდ ნატურალური ცოცხალი ლუდის მიღება. ამავე დროს, ის ძალიან გემრიელიც არის!

ამგვარად, თქვენ უკვე იცით, რომ ლუდის სარგებლიანობა დადასტურებულია და ამ ალკოჰოლური სასმელის ერთი კათხა ვახუშტად მხოლოდ სასიკეთო იქნება.

ალუდა სპიანი

პრიმიწალი

21 წლის ბიჭი უკვე კაპლეია!

შსს-ს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამომძიებო ღონისძიებების შედეგად 1995 წელს დაბადებული ა. ტ. განზრას მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

ბრალდებულმა ქობულეთში, რუსთაველის ქუჩაზე, ცივი იარაღით გულმკერდის არეში 1994 წელს დაბადებული ნ. გ. დაჭრა, რომელიც მიყენებული ჭრილობის შედეგად საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

ბრალდებულმა ცივი იარაღით სხეულის დაზიანება კიდევ სამ პირს მიყენა, მათ შორის, შსს-ს საპატრულო პო-

ლიციის დეპარტამენტის გურიის მთავარი სამმართველოს პატრულ-ინსპექტორ მირიან ნოლაიძეს. პოლიციელი იმ დროს სამსახურებრივ მოვალეობას არ ასრულებდა. იგი შორიასლოს იმყო-



ვებოდა, ხმაური გაიგო და შემთხვევის ადგილზე ვითარების გასარკვევად მივიდა. უიარაღო პატრულ-ინსპექტორი

ა. ტ. -ს შეჩერებას შეეცადა, რა დროსაც იგი ხელის არეში დაიჭრა.

ამ დროისთვის პოლიციელისა და ორი დაჭრილი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

სამართალდამცველებმა ბრალდებული ქობულეთის რაიონის სოფელ აჭიში, შემთხვევიდან რამდენიმე საათის შემდეგ, ცხელ კვალზე დააკავეს.

დაკავებულია თვალთვალისთვის

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამომძიებო მოქმედებების შედეგად დიდი ოდენობით თანხის თაღლი-

თური გზით დაუფლების მცდელობის ფაქტზე მოქალაქე ვახტანგ ნ. დააკავეს.

ვახტანგ ნ. პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფ საქართველოს მოქალაქეს დაპატიმრდა პირობითი სასჯელისგან ვადაზე ადრე გათავისუფლებას, რის სანაცვლოდაც წინასწარ მოსთხოვა და გამოართვა 5000 აშშ დოლარი, რა დროსაც იგი დააკავეს.



შპს-ის მფლობელთა მსახური

დაპირვანება დაპირვანებები. ანუ წინასწარწინა მონიშვნები

მოყვასზე ზრუნვა რადგან მითია, მამრობითი თუ მდედრობითი, ქმარზე ნაკლები ცოლი რითია? თინაც ის არის, რაც დავითია!

ბლოკი პირველმა რაკი არია, სხვა საქმისათვის აღარ სცალია, რადგან პენსიას 300 ლარიანს უკვე „გვირიგებს“ ალასანია.

„ნაცები“ და მემარჯვენე რადგან ერთად შეაჯერე, აბა, ბანი, ბურჭულაძე, „გირჩის“ ჩაჩურჩულებაზე, თორემ შენთვის შარიც კია, რაც დამართეს შალიკიანს: პარიზში რომ გცემდა პატივს პარლამენტის დეპუტატი, ტყიბულაშვილი გზა ჰქონდა მოკლე და სხვებზე ისიც მოკლე!

ლეიბორისტთა თავიანთი ასწლოვანებს პენსიად 2000 ლარს გვპირდება


ოთხმოცს გადავცდი, რომ ვთქვა სიმართლე და თუ ოდესმე აღმოებრწყინდები, ასს მივალნიო, გულით ვინატრე, რომ შევამოწმო, რასაც გვპირდები!



საქართველო რომ არ დარჩეს კვლავ საომარ ლელოდა, „უბლოკობა გადაგვარჩენს!“... ნინოს მუდამ სჯეროდა. შემწეობას შესთხოვს გამჩენს, რომ გაუგონ ჯეროვნად, მაგრამ ომი ვისაც არჩენს, ანკმუტუნდა ჩეროდან!

ქუთა თელია

უსიტყვოდ



დაზუსტება

გუშინდელ ინფორმაციაში „მესხები დედაქალაქის გამწვანებაზე ფიქრობენ“ ტელეფონის ნომერი უნდა იკითხებოდეს 2-93-66-03.

სარკვე, ძვირფასო, მიტხარი...



ამერიკაში სოციოლოგებმა დაითვალეს, რომ საკუთარი თავის მოვლაში ქალები სარკის წინ კვირაში 6,4 საათს ატარებენ.

ამავე „საქმეს“ მამაკაცები კვირაში 4,5 საათს ანდომებენ, მაგრამ ლიდერები მაინც მოზარდები არიან, რომლებსაც თავის „გასალამაზებლად“ კვირაში 7,7 საათი სჭირდება.

გამოკვლევის მსვლელობისას მეცნიერებმა ასევე დაადგინეს, რომ ქალბატონების 60 პროცენტი საკუთარ თავზე კრიტიკულად კვირაში სულ მცირე ერთხელ მაინც ფიქრობს, მამაკაცებში კი ასევე მხოლოდ 36 პროცენტი იქცევა. ყველაზე მეტად ქალებს საკუთარი მუცელი ადარდებდათ (სხეულის ამ ნაწილით უკმაყოფილო 69 პროცენტი იყო), 40 პროცენტის განცდები კანს უკავშირდებოდა, 32 პროცენტისას – თმებს, 22 პროცენტს ადარდებს ცელულიტი და კიდევ 28 პროცენტს – დუნდულების ფორმა.

საკუთარი მუცლის გამო განცდები აქვს მამაკაცების 52 პროცენტს, მეორე რიგში ადარდებდათ თმების შეთხელება და კანის პრობლემები.

ფანტაზია და ღვაკლი

მომავალში დაკავშირებული საამო ფანტაზიები შესაძლოა... დეპრესიის მიზეზი გახდეს, აცხადებენ ნიუ-იორკის უნივერსიტეტის მკვლევარები.

ფანტაზიებს კარგ გუნებაზე კი მოვყვართ, ოღონდ ცოტა ხნით. ზედმეტად პოზიტიური მოლოდინები კაცს მიზნის მიღწევის გზაზე არსებულ წინააღმდეგობათა შეფასებაში და მათი დაძლევის სტრატეგიის შემუშავებაში ხელს უშლის. მაგალითად, ზედმეტად მეოცნებე სტუდენტები, საკურსო ნაშრომების მომზადებისას, ნაკლებად მონადინებულნი არიან და, შედეგად, დაბალ შეფასებებს იღებენ, რის შედეგად დეპრესია იწყობთ. მეცნიერთა აზრით, პოზიტიურ ფანტაზიებს რეალობის აღქმაც უნდა ახლდეს.

რა გვაპირვებს?

დაპირვანებისარაო ოდესმე, რატომაა, რომ ტკივილისგან ადამიანი ყვირის? მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ამით იგი... გარშემო მყოფებს ხიფათის შესახებ აფრთხილებს.

ეს უნებლიე რეაქცია ადამიანს ველური ნიშანებისგან ერგო. ბუნებაში ცხოველები დიდ ტკივილს უფრო ხშირად მტაცებლის მიერ დაჭერისას, დამწვრობის შედეგად და კიდევ მრავალ სხვა მიზეზთა გამო გრძნობენ. ყველა ამ შემთხვევაში ხმამაღალი ყვირილი და ბლავილი თანამომქმეებს ხიფათის შესახებ ამცნობს. ბევრი გუნდის თევზი კი „განგაშის ფორმონებს“ იყენებს – ესენი ნივთიერებებია, რომლებიც გარემოში თევზის კანის დაზიანების დროს სისხლის გაჟონვისას ხვდება და სხვებს დაუყოვნებლივ თავის შეველას კარნახობს.



ყველაფერი ღოზაზა და მოკიდებული

რატომაა, რომ ზოგიერთი სუნი გვსიამოვნებს, სხვები კი ზიზღს იწვევენ? მეცნიერები აცხადებენ, რომ უფრო ხშირად სიმპათია-ანტიპათია პიროვნულ გამოცდილებაზეა დამოკიდებული.

სუნის აღქმა როგორც ჩვენს გამოცდილებაზე, ასევე შესაბამის ასოციაციებსა და ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე ყოფილა დამოკიდებული: მაგალითად, ხორცის წვნიანის სუნი მშვიდ კაცს დიდებულად ეჩვენება, დანაყრებულს კი, შესაძლოა, გული შეუღონოს. კიდევ ერთი გარემოება ისაა, რომ ერთსა და იმავე ნივთიერებას, კონცენტრაციისდა მიხედვით, სხვადასხვა შეგრძნების გამოწვევა შეუძლია. მაგალითად, ჰაერში ინდოლის მცირე დოზით არსებობა უსამინის სურნელად აღიქმება, მაგრამ კონცენტრაციის გაზრდის შემთხვევაში მას... ფეკალიების სუნად აღვიქვამთ.

„დაჭკინება“... პარკიუსიგან

დანიელმა მეცნიერებმა გამოარკვეეს, რომ არსებობს პირდაპირი კავშირი 55-60 წლის ასაკის პირთა ინტელექტის დონესა და იმას შორის, თუ რამდენად აქტიურად ვარჯიშობდნენ ისინი 30-დან 50 წლამდე ასაკში.

აღმოჩნდა, რომ რაც უფრო კარგი ფიზიკური მომზადება აქვს კაცს ახალგაზრდობაში, მით უფრო მაღალია მისი ინტელექტუალური განვითარების დონე ხანდაზმულ ასაკში.

მაგიური ხა გოჭვი

ბუდისტებს სწამთ, რომ ორნამენტული ათასი წლის წინათ ხის ქვეშ მდებარეობს მყოფმა უფლისწულმა სიდჰართმა გუატამამ სულის განათლებას მიაღწია და ბუდად იქცა.



ამჟამად იმ ადგილას ბუდიზმის ერთ-ერთი მთავარი ტაძარია და ხე ბოდჰი იზრდება (ბუდას ლეგენდარული ხის მეოთხე შთამომავალი). ბოდჰის გარშემო ორი ღობეა – ქვისა და მოოქროვილი ლითონის. ხესთან მისული ყოველი მომლოცველი ბოდჰიდან ჩამოცვენილი ფოთლის დაპატრონებას ცდილობს, რაც იბაღს მის მიმართ განაწყობს.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA

სულხან-საბას ძ. №3

მთავარი რედაქტორი

საარტაკ მოზულია

293-13-34

599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:

გურამ გომიანიშვილი

599 53-76-16;

ალექო

ასლანიშვილი

599 56-81-86;

რუსლან რუსია

599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი

მამუკა ვაშაქიძე

514 33-33-24

გამომცემელი:

შპს „მანადგომბა“-ს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

ტ: 599 79-76-79

შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“ რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323

ISSN 2233-3851



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთილი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ უნი გაზეთი, აუსილებლად წაიკითხე!



რედაქციის მისამართი:

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდიუმის შენობაში, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 100, 1000

აივანი 27 აპრილისთვის

აბონენტების სიახლოველი: ბარ - ღამე +18, დღე +35; შინა რაიონები - ღამე +11, დღე +32; დასავლეთი საქართველო: ბარ - ღამე +19, დღე +33; შინა რაიონები - ღამე +13, დღე +33; თბილისი: ღამე +21, დღე +34

დაგვიკავით.

მოგვწერით:

ტელ: 293-13-34, 599-79-76-79

WWW.SAKRESP.GE